

# ბრძოლა



ქვეყლიური ორგანო საქ. სოც.-დემ. || «LA LUTTE» — Revue mensuelle du  
ქმ. პარტ. სახელმწიფოებრივ ნიურსი || Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. | პარიზი, აგვისტო 1925 წ. N° 2. Paris, Août 1925. | Prix 3 Fr.

## მიმდინარე პოლიტიკა.

არის ორი პოლიტიკა, ორი იდეური მიმდინარეობა, ყოველგან, ყველა დიდ თუ წვრილ მოვლენაში დაპირდაპირებული და ერთი მეორის უარის მყოფი. ერთია ბოლშევიკური, მეორე სოციალისტური.

პირველი თავის მოქმედებას, თავის მერმისს აგებს დასავლეთ ევროპის არეულობაზე, სახელმწიფოთა შორის გაღვივებულ შუღლზე, წარმოების დაუძღვრებაზე, ერთა კონფლიქტებზე, ომზე და დამარცხებაზე, მასის გალატაკებაზე და დაცემაზე. ის ამ უკიდურეს ხარობს, ამ უბედურებაში ეძებს თავის სასიცოცხლო წყაროებს.

მეორე, სოციალისტი, კი პირიქით, მთელ თავის მოქმედებას, მთელ თავის მომავალს აგებს მშვიდობიანობის დამყარებაზე, დასავლეთ ევროპის შეთანხმებაზე, ერთა და სახელმწიფოთა ერთობაზე, წარმოების გამდიდრებაზე, მასის ნივთიერათ და მორალურათ გაღივირებაზე, ერთი სიტყვით საერთო აღორძინებასა და ამაღლებაზე.

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება კლავს ბოლშევისმს, ართმევს საბიუჯეს, უსაბიუჯეს ნიადაგს და აქცევს მას აზარათ. ის თან ატარებს ყველა თვისებას იმ პირისას, რომელიც ყოველთვის ომს მოყვებოდა ხოლმე, როგორც კი ომი ბოლოვდებოდა, მიწგრეულ-მონგრეული ქვეყანა კალაპოტში დგებოდა და სოციალური კანონები ნორმალურათ ამუშავდებოდა, უირიუც კარგავდა საცვებ მასალას და ქრებოდა.

სოციალისტი მიიღობს ომით მოწამული ატმოსფეროს გაჯანსაღებისაკენ, ხალხთა შორის დაწვევითი ძაფების აღდგენისაკენ, ეს არის იმავე დროს სურვილი და მოთხოვნა ყველა ხალხის, მთელ კაცობრიობის, გარდა იმ მცირედი ნაწილისა, სპეკულიანტების და მენაშენების, რომელნიც ომით და სისხლის ღვრით იტენენ ჯიბას და იძენენ კაპიტალს.

ამაირათ, ერთი მხრით დგას ბოლშევისში და მილიტარისტულ-სპეკულიანტური ბურჟუაზია, მეორე მხრით-სოციალისტი და მთელი დანარჩენი კაცობრიობა.

ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის წარმოებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე, პირველ ყოვლისა მიმდინარე პოლიტიკაში.

მთავარი პოლიტიკური მომენტი, რომელიც ყოფდა დასავლეთს ომამდე და ყოფს დღესაც, არის კონფლიქტი საფრანგეთს და გერმანიას შორის. ის წარმოიშვა მესამე რეპუბლიკის დასაწყისში, როგორც ნაყოფი ნაპოლეონ მესამის და ბონაპარტის პირადი პოლიტიკის, რასაც მოყვა ომი და დამარცხება, წინეთ საფრანგეთის, ახლა გერმანიის, ევროპის ატმოსფეროს გაწმენდა მოითხოვს პირველ ყოვლისა იმ კონფლიქტის ამოწურვას, ყოველ შემთხვევაში მის მინელებას, თანხმობის და კეთილ-შობლობის მოდავეთა შორის ჩამოგდებას. მარა ამ შემთხვევაში რუსეთი რჩება გარიყული, ის ვეღარ ითამაშებს ვერც «საერთაშორისო ეანდარმის», ვერც «საერთაშორისო დამხმარეების» როლს. ამიტომ ცარიზმი მთელი თავისი ძალღონით ებრძოდა ამ თანხმობის პოლიტიკას და ემსახურებოდა შუღლს. ის მოველინა საფრანგეთს მოკავშირეთ და მხსნელათ, ბოლშევისში ამ ეამათ პირწმინდათ იმეორებს ამავე პოლიტიკას; ის მოველინა მეგობრათ გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ და ლამის ეს მდგომარეობა სამიღმეოთ შეინარჩუნოს.

მაგრამ აი გერმანიამ უცებ პირი იბრუნა საფრანგეთისაკენ და მას მიმართა მოთხოვნით—მოერიდეთ. საფრანგეთმა ამ მომართვას ხელი წაატანა და ინგლისის დასტურით თანხმობით უპასუხა. დაიბადა პირველათ ამ ორ მეტოქეთა დაახლოების შესაძლებლობა. შემდგომდა მოსკოვი, აწრიპინდა ბოლშევიკური კალმები, ამუშავდნენ დიპლომატები ამ შესაძლებლობის ჩასაშლელად. ისინი ახლა იმეორებენ იმ კამპანიას, რომელიც მათ ასტყენს დაუსის პლანის წინააღმდეგ, ე. ი. წინააღმდეგ გერმანიის ფინანსიური გაჯანსაღებისა და საკუთარი, რუსეთზე დამოუკიდებელ ფესზე დადგომისა. დაუსის პლანი განხორციელდა, მოსკოვი დადუმდა: გერმანია გადაჭრით დაადგა დასავლეთის ეკონომიურ ორიენტაციას და ახლა ის ამას აგვირგვინებს პოლიტიკურათაც. ეს კი ქმნის სრულიად ახალ საერთაშორისო მდგომარეობას მოსკოვისათვის.

პირველ ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ თვით მათი მორიგების შინაარსი. სოციალისტები მოითხოვენ ერთა საერთო კავშირის დამყარებას ყველა სადამოკიდებლობის საფუძველზე მედიატორული წესით გადაჭრით. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება და ხმალს იშიშვლებს—ის ისეება ყველა მოკავშირეთა შეერთებული ძალდრებით. ამ კავშირის მეთაურობს ნაკიათა ლიგა. დაიბადა ენევის პროტოკოლი მაკდონალდის და ერიკს მეთაურობით. პროტოკოლს აუხირდნენ რეაქციონერები და გააკეთეს მოსკოვის გასახარელი: ის დაიმარხა და მის ალაგას წამ. აყენეს კერძო პირობა («პაქტი») გერმანია-ანტანტის შორის, რაკი პირველი არ გავიდა. მეორე მაინც მისაღებია. ვინაიდან ის ამავე პოლიტიკური ხაზიდანაა აღებული. მას ემხრობა საერთაშორისო დემოკრატია. მხოლოდ საკითხია ის, თუ რა სახის იქნება პაქტი: პირობის მონაწილენი თანხმდებიან ყველა სადამოკიდებლობის გადასტურან მოლაპარაკებით ან მედიატორული წესით ნაკიათა ლიგის საშუალებით, თუ ქმნიან კავშირს, რომლის წევრები ერთი-მეორეს წაესევიან, როგორც კი რომელიმე მათგანი პირობას დაარღვევს? ნაკიათა ლიგის ძირითადი სტატუტია მედიატორული წესი და ყველა სახელმწიფო ამ პრინციპის მიხედვით ვალდებულია გახდეს ლიგის წევრით. «პაქტის» ასრულება მოითხოვს გერმანიის ლიგაში შესვლას და მისი წესების მიღებას. კავშირების და კონტრკავშირების პოლიტიკა დაამარცხა ომმა. სწორეთ ასეთ სამხედრო ბანაკებათ დანაწილებამ გამოიწვია უშედეგო სისხლის ღვრა. სოციალისტების ძველი პრინციპი—არბიტრაჟი—დღეს ერთადერთი საერთაშორისო პოლიტიკაა შესაძლებელი და მკრელი. კაცობრიობა იძულებული შეიქნა მიეღო ეს პრინციპი და მის საფუძველზე აეგო ნაკიათა ლიგა.

მოსკოვი ბრძენის როგორც ამ პრინციპს, ისე ამ ღივას, ის ჩარჩა ძველი, დამარცხებული პოლიტიკის ჩარჩოში, ცარიზმის ბარბაროსულ საერთაშორისო უფლებებით გაქვნილი. ის განაგრძობს საიდუმლო დიპლომატიას, ბნელეთში ხელის ფათურს, ერების დამორჩილებას და ძალათ გასაბუცებას. კავშირების და კონტრკავშირების ძიებას, ერთი სიტყვით დესპოტიზმზე დამყარებულ საგარეო საქმიანობას. მთელ ამ მუშაობას ლახვარს სცემს ერთა ლიგის გამარჯვება. მისი რეალურ ძალათ გადაქცევა. გერმანიის მის წევრათ შესვლა და პროტოკოლის თუ არა, ამ ხანაში პაქტის მაინც განხორციელება მოსკოვის უკარგავს ყოველგვარ გაქვნიას ევროპის საქმეებზე. ეს არის დასავლეთის საერთაშორისო მდგომარეობის სრული სტაბილიზაცია და მოსკოვის იზოლაცია. დასავლეთი ეპირდაპირება ბოლშევიკურ რუსეთს. მოსკოვი ამაში ხედვას ინგლისის ინტრიგებს. შემთხვევით მოვლენას, გერმანიის რუსეთისაგან ჩამოსაშორებლათ, ნამდვილათ კი აქ არაფერია შემთხვევითი, არც ინტრიგანური, ეს აუცილებელი, ისტორიული გზაა კაცობრიობის განახლების და განვითარებისაკენ. ბოლშევიზმი მას ეპირდაპირება და მით ბუნებრივათ ამ შარავზის გარეთ რჩება. ის ცდილობს თავის დაღუპვაში ამხანაგები იშოვოს, ცოცხალი სამარეში ჩაიჭიროს და ასე სული კბილით დაიჭიროს. მთელი ბოლშევიკური პრესა «იზვესტიას» მეთაურობით გერმანიას ემუქრება, თუ გამეცი და ლიგაში შედი, შენს მტრების—საფრანგეთს და პოლონეთს—მოფურცდებია. «გერმანიის მთავრობამ უნდა იცოდეს, სწერს «იზვესტიას», თუ ის ამ გზას დაადგება საბუთთა კავშირი მიიღებს ზომებს თავის ინტერესების დასაცავათ და იმოქმედებს იმ გზით, რომელიც არ მიდის გერმანიასთან პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების განვითარებისაკენ». ამავე დროს ეს გავრცელებული ვარსიება საფრანგეთს და თანაც უკუას ასწავლის—გერმანიასთან მორიგება ერთი სიტყვით, მოსკოვი აშკარა პოლიტიკურ შანტაჟს ეწევა, ორივე მხარეს



თვალეზს უპაქუნებს. ორივეს თავის თავს შეაძლევს. მაგრამ ისინი მისგან გარბიან როგორც ეამისაგან და მას გატიტვლებულს ქვეყნის წარაზე ტოვებენ. ერთათ ერთი მისი თაყვანისმცემელია გერმანიის მილიტარისტები და ნაციონალისტები. ესენი ბოლშევიკებთან ერთათ ილაშქრებენ აპაკტისა წინააღმდეგ და იცავენ ღვრია წყალს. სადაც წაუფიქრათ თევზაობენ. მაგრამ გერმანიის მთაწრობამ, სოციალ-დემოკრატიის და რადიკალური ბურჟუაზიის ზეგავლენით. უკვე გადასწვრიტა საფრანგეთის წინადადება მიიღოს და მის საფუძველზე მოლაპარაკება აწარმოოს. ის უკვე ზურგს აქცევს რუსეთს და პირს იბრუნებს დასავლეთისაკენ. წყდება ევროპის უდიდესი პოლიტიკური საკითხი: მტკიცდება დასავლეთის მორალური ერთობა. ირჩევა ამ ერთობის აღმოსავლეთის მტერი.

პირველათ ახლა დაისვა მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში ნათლათ და საჯაროთ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ბლოკის შექმნის საკითხი. საფრანგეთის საგარეო სამინისტროს გამოშობატველი ორგანო «ტანიო». რომელიც ეს ერთი ხანია ბოლშევიკებს ეარშიყება. იძულებული გახდა ალაპარაკებულყო ამ ბლოკის აუცილებლობაზე. ის სწერს: «დაირეკა ეამი გერმანიისათვის ამოიჩიოს ან გერმანო-რუსული ბლოკი, სადაც ის დაიქერს მეტათ საშიშარ მდგომარეობას, ან ევროპის ბლოკი, საითყენაც მას მიაქანებს მისი ინტერესები და მისი ტრადიციული ლტოლვილება... მან (გერმანიის საგარეო მინისტრმა) კარგათ იცის. უეუეელია, რომ მუიღრო კავშირი საბჭოთა რუსეთთან დაუპირდაპირებს გერმანიას ინგლისს, ყველა თავისი მძიმე შედეგებით, რასაც ეს მოუტანს მის პოზიციას კონტინენტის ცენტრში. საკმარისია გაიგონათ ჩიჩერინის განცხადება იმაზე, რომ ლონდონის მიერ კავშირის გაწყვეტა საბჭოებთან ნიშნავს ომს, რომ ვთქვათ: ამეამათ ბრძოლაა მოსკოვს და ლონდონს შორის». («ტანიო», 4 ივლისი).

ამაზე უფრო ნათლათ თქმა აღარ შეიძლება. რუსეთი თუ ევროპა—აი ორი მოპირდაპირე ბანაკი და მათ შორის ახდენს არჩევანს გერმანია. ყველა სხვა სახელმწიფოებს არჩევანი კი ხანია მოხდენილი აქვთ ევროპის სასარგებლოთ. მხოლოდ გერმანია ყოყმანობდა, ვინაიდან ის მოსკოვისაგან რეალურ სარგებლობას განივლოდა. მაგრამ ეს იმედი არ გაუშართლდა; არც მილიტარულათ, არც ეკონომიურათ. რუსეთის დამარცხებამ პოლონეთის მიერ და წითელი არმიის დაუძღურებამ საბოლოოთ გააქრო გერმანელთა ოცნება პოლონეთის კორიდორის რუსის ხიშტით დაპყრობაზე. ხოლო რუსეთის ქრონიკულ ეკონომიურ კრიზისმა მეურნეობაში და მრეწველობის დაცემამ მოუტანა იმედი რუსეთისაგან რაიმეს გამომრჩენისაჲ. აი ამ ორგვარ იმედის გაცრეება გერმანიას დღეს ძალას ატანს ისევე დასავლეთში ემიოს მეგობარი და მომხმარე. ასეთია მისთვის პირველყოელისა ინგლისი, რომელსაც მხარში უდგია საფრანგეთი და მისი მეგობარ-მოკავშირენი.

გერმანიის ლიგაში შესვლას რით უპასუხებენ ბოლშევიკები? ორში ერთი: ან თვითონაც უნდა შევიდნენ, ან ევროპის მთლიან ფრონტს შეებრძოლონ. პირველ შემთხვევაში, ისინი იძულებული იქნებიან მიიღონ ლიგის სტატუტი. ე. ი. დემოკრატია საგარეო პოლიტიკის ქვეყუთხედათ აღიარონ და თავის მოქმედების ანგარიში ქვეყანას აღლიონ. საქართველოს საკითხი თავიდანვე წინ დახედება და არბიტრაჟი მისთვის საკადმებულო გახდება. ეს იქნებოდა ბოლშევიზმის ლიკვიდაცია არა მარტო საგარეო. არამედ საშინაო პოლიტიკაშიაც. ამ გზას უეუეელია ის არ დაადგება და ისევე სასიკვდილოთ გამზადებულსაკით შეეცდება გაერთიანებულ ევროპას შორიდან შეეფოს და თავისი სამარე თვითონვე მოაშხადოს.

ევროპა მთლიანდება, რუსეთი მარტოვდება. მიმდინარე პოლიტიკის ძარღვი აი აქ სცემს. ძველი დახლართული კვანძი იხსნება დასავლეთში და ახალი კვანძი იხლართება საბჭოების საბრძანებელში. მას ირგვლივ რკინის სალტე ერტყმება და ის მავთულ-ხლართში ებმება. რაც მოგვია დავითაო, ყველა შენი თავითაო...

## ინტერნაციონალი და პატარა ერები.

(საქართველოს საკითხის გამო)

გახებებმა გვაცნობებს, რომ დიდმა ამერიკელმა საზოგადოებამ. პარიზი და კომპ.. მიიღო რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობისაგან უიათურის შავი ქვის მადნების კონცესია.

ამგვარად, გაჭრა ერთი იმ მთავარ არგუმენტთაგანი, რომლითაც ბოლშევიკები ცდილობდნენ საქართველოს ოკუპაციის გამართლებას.

ქართველმა მენშევიკებმა, გვეუბნებოდნენ ისინი ყალბი პათოსით. ინგლისის და საფრანგეთის გავლენის ქვეშ დადგომაზე თანხმობა ვაჩვენებდნენ. და აი სწორედ ამით ღირსნი გახდნენ იმის, რაც მოუვიდათ. სწორედ ამიტომ ვაძლევნა ისინი ბოლშევიკურმა ჯარებმა ქვეყნის მართვა-გამგეობიდან. ამასთანავე კომუნისტებს თავი ისე მოქონდათ, თითქო ქართველი ხალხის ინტერესების დიდი დამცველი ყოფილიყვენ.

შავი ქვის მადნების გაცემამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ბოლშევიკური ინდუსტრია ისევ უძღვრია თავის-თავით, დამოუკიდებელი იარსებოს: ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ბოლშევიზმი. არა თუ შორსაა სოციალისმის განხორციელებისგან. არამედ იძულებულია დიქტატორის საფარველ ქვეშ კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მეთოდებს დაუბრუნდეს და კაპიტალისმის გულის მოგებაზე იზრუნოს.

თუ მეხსიერება არ მალატობს, ბოლშევიკურ ოკუპაციამდე შავი ქვის მალაროების ექსპლოატაცია სულ ათიოდე სბვა და სბვა ეროვნების ფირმის ხელში იყო. რომელთაც მიცემული თუ დატოვებული ქანდათ ამ მადნების კონცესია ძველი მთავრობის მიერ განსახლებულ გარანტიით. რომელიც მალაროებს ეროვნულ საკუთრებათ აღიარებდა. ხოლო მათ ექსპლოატაციას «ჩემოს» ორგანიზაციის წესებს უქვემდებარებდა.

ამ ერთის წლის წინათ—როგორც გვარწმუნებენ—ბოლშევიკებს მოუხდენიათ წარმოების ანაციონალიზაცია. დღეს კი მათი ექსპლოატაცია სავსებით ერთ დიდ ამერიკულ კაპიტალისტურ საზოგადოებას გადაეცა. ჩვენ ვერ გავვიგია, რა არის აქ შეცვლილი წარსულთან შედარებით? შეცვლილია კონცესიონერები, გამოიცვალა კაპიტალისტები და მეტი არაფერი.

მარა თუ ასეა, ვიმეორებ, რალა გვრჩება ხელში ხემათ ხსენებულ ბრალდებათაგან ქართველ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.—იმ ბრალდებათაგან, რომლის თვალთმაქცობა მუდამ და დაუხარებლათ უნდა ვამილოთ?

ცხადია მისი დანიშნულება მხოლოდ ის იყო, რომ გაემართლებია ბოლშევიკების თავისებური წარმოდგენა ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე.

მათი მსჯელობა ამ საგანზე არსებითად შეიცავს შემდეგს:

საქართველო პატარა ქვეყანაა და მასთანადავ მეტათ სუსტია იმისთვის, რომ დიდ ერებს გაუმკლავდეს და ამიტომ იძულებულია მათი მფარველობის ქვეშ დადგეს. ასეთ პირობებში კი—მფარველი მფარველის წილ—ბოლშევიკური რუსეთი იჭრება საქართველოში რომ მას დამცველათ მოველინოს.

ასეთი მსჯელობა მფარველის აუცილებლობაზე ჩვენ მოვისმინეთ თვით საფრანგეთის პალატის ტრიბუნალის დიდ ბოლშევიკების ერთი პარიზელი მეთაურისაგან.

თუ ეს მსჯელობა მართებულათ ვიცანით, მაშინ არცერთს პატარა ერს ქვეყნიერების დღევანდელ პირობებში არ დაურჩება უფლება დამოუკიდებელ არსებობის. ეს იქნება ცნობა დიდ ერთა უფლებისა დავის საგნათ ვაიხადონ პატარა ერები და თუ იმას არ ვიგულისხმებთ, რომ შესაძლებელია ერთ დროს განხორციელდეს «უსამიზნელისი ცუპაროზში», რომელზედაც ლაპარაკობს ერთგან ყორესი. და მის ხელქვეით მოხდეს იძულებითი გავრობიანება ყველა ერების, როცა უდიდესი და უძლიერესი მათ შორის დამომორჩილებს დანარჩენებს თავის ულის ქვეშ.—თუ ამას არ ვიგულისხმებთ, უნდა დავეუშვათ, რომ იქნება მხოლოდ საყოველთაო ომები, დაუსრულებელი ომები...

და ეს ხომ არ შეიძლება იყოს საგანი სოციალისტური მისწრაფების. და ჩვენ ეს მუდამ უნდა გავიმეოროთ, როცა ბოლშევიკებს სურთ ფართე მასების ან სოციალისტების «გრძნობებზე ითამაშონ». განსაკუთრებით როცა სურთ ვინმე მათი «საერთო



ფრონტის» ზაფანგში გაბან, ისინი ხმამაღლა გაიძახიან, რომ მათი მისწრაფების საგანი ზავია. მარა იმავე დროს აცხადებენ, რომ ისინი პაკიფისტები არ არიან. პირიქით ისინი მომხრე არიან სისტემატიურათ ძალის ზმარების, კიდევ მეტი, ისინი ნამდვილი ფანფარონებია ძალმომრეობის, რომელსაც მათი თეორიით მიეყვართ იქითკენ, რასაც ისინი «ინტერნაციონალურ სამოქალაქო ომს» უწოდებენ.

ბოლოსაც არის უნდა ავიჩიოთ: ან მივიღოთ და ვისარგებლოთ ის მეთოდები, რომელთაც მიეყვართ ზავისაკენ. ან მივიღოთ და ვისარგებლოთ ის მეთოდები, რომელთაც მიეყვართ ომისაკენ. გაურჩევლათ ორ სტოლზე ერთ და იმავე დროს თამაში დაუსვლლათ არ შეიძლება...

ერთ დროს იმ ხუთ დიდ სახელმწიფოს მთავრობის მეთაურებს, რომელთაც ზავის პირობები უკარნახეს 1919 წელს, საუვედროით აცხადებენ, მალე ფრანგებს ლაპარაკობდით, ბოლო სახელმწიფოებს, რომელთაც «შესულდული ინტერესები» აქვთ, მწირათ ნაკლები ყურადღებით ეპყრობოდითო. და ეს მართალი იყო.

მარა თუ მათი საქციელის მიხედვით სოციალიზმსაც ისე იმოქმედა, რომ პატარა ერების უფლებმა კიდევ უფრო მეტათ აბუჩათ. აიგდო, მაშინ შე გვეკითხებით, რა მორალურ სარგებლობას ნახავს ამით კაცობრიობა. ან რა დაწინაურებას მიიღებს ჩვენი იდეალი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში; და თუ ამავე დროს სოციალიზმმა მხოლოდ იმას უნდა მიადწიოს, რომ მუშათა კლასის რეალური ხვედრი არ გააუმჯობესოს, ხოლო კაპიტალიზმის უველანზე უფრო მიუღებელი ფორმები შეინახოს, რა სარგებლობა ექნება აქედან პროლეტარიატს? არა, სოციალიზმი წარსულში ყოველთვის დამცველი იყო მცირე ერების და მათ სასარგებლოთ ის ყოველთვის იმალლებდა მშას. ბედი პოლანეთის, ისე როგორც სომხეთის და ირლანდიის მუდამ პოულობდა მის წრეში თავის დამცველებს.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც სოციალიზმის სახელით ლაპარაკობს, ასეთ როლზე ხელს ვერ აიღებს. მას უნდა მალა და მტკიცეთ ეყროს ხელში დროშა ხალხთა აბსოლიუტური უფლებებისა თვით განაგონ თავის ბედი. ე. ი. თვით იყვენ გადამწყვეტი იმ ურთიერთობის, რომელსაც თავის დიდსა თუ პატარა მუზობელთან დაამყარებენ, იმ პირობით კი, რომ მშვიდობიანობის საქმეს ზიანი არ მიადგეს.

აი ამის სათუთ გადაქცევა შეუძლებელია.

მეთოდი, რომელსაც მშვიდობიანობისკენ მიეყვართ, არ შეიძლება იყოს ერთგულნი ვგოიზმის წამქეზებელი, თუნდაც რევოლიუციის დროშით, პირიქით ის უნდა ცდილობდეს შეთანხმებას და სოლიდარობის დამყარებას.

დღესდღეობით, არის ერთი ინტერნაციონალური ძალა, რომელიც აქვთკენ მიიწრათის, თუმცა უკრ კიდევ დიდის გაკირვებით, რადგან მრავალ დაბრკოლებებით და წინააღმდეგობებით არის გარემოცული, რაშიაც მარტო თვითონ არ არის პასუხისმგებელი—ესაა ნაციათა ლიგა...

ჩვენ ვიცით მისი სისუსტე, რომელიც შეიძლება ვუსაყვედუროთ, მარა ყოველ შემთხვევაში ის არსებობს. და რამდენათაც სოციალისტური პარტიები, რომელნიც შეადგინენ მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალს, მოიპოვენ თავიანთ ქვეყნებში პოლიტიკურ გავლენას და თანდობან ხელში ჩაიგდებენ მართვლობის საშუალებებს და რეალურ ხელისუფლებას, სწორეთ ისე და იმდენათ ნაციათა ლიგაც ვაივლენთება სოციალიზმის და დემოკრატიის მისწრაფებებით.

და როცა ნაციათა ლიგა, უნივერსალურ და დემოკრატიულ დაწესებულებათ გადაიქცევა ყველა ერის მასში შესვლით და თვით ამ ერთა ცხოვრებაში თანდთან შინაბაში დემოკრატიულ, ხოლო საგარეო ურთიერთობაში საზავო მეთოდების გაბატონებით, ის თავის მხრივ შეიქნება ახალი მძლავრი წყარო საერთაშორისო სამართლიანობის...

და ჩვენი ვალია. ის ვამაგროთ, ვაძლიეროთ...

პატარა ერებმა, რომელნიც მძიმე უღლის ქვეშ იზინებებიან, მისკენ უნდა მიაპყრან თვალი, იქ უნდა ევიონ იმ უსამართლობის გამოსწორება, რომელიც არგუნა მათ ისტორიის უკუღმართობან და რომელიც გამოსწორებულ უნდა იქნეს.

შეიძლება აქ იყოს დამარხული ფარული აზრი იმ წინააღმდეგობის, რომელსაც იჩენენ სოციერთი ერები რევანშის თუ რევოლიუციის, ერთა ლიგაში შესვლას რომ

უარყოფენ: რადგან ვალდებულება თავის ბელმონწერილი პირობის პარტიის ცემის სა-  
მუდამოთ წაართმევს მათ უფლებას ახალი მონობა შექმნან ან არსებული შეინარჩუნონ.  
ინტერნაციონალური სოციალიზმი თავის-თავის მოალაღატე-იქნებოდა, რომ ამ  
მღვრიე წყლის საშიშროებაზე არ მიეთითებია...

დაცვა პატარა ერთა უფლების ბელმონწერილობის—ესაა დაცვა მშვიდობიანო-  
ბის... დაცვა მშვიდობიანობის—ესაა საშუალების მოცემა სოციალიზმის განსახორციე-  
ლებლათ სულ სხვა გზით და არა დანგრევის და ქაოსის გამოწვევით, რაც კაპიტალის-  
ტურ წყობილებას საშუალებას აძლევს კვლავ გაზდეს ბატონი რევოლუციის, რა-  
მელიც მტკიცე ეკონომიურ საფუძველს მოკლებულია.

პიერ რენიევილი.

### 3. აქსელ ბრედო—ბრძელა-ს რედაქციას.

ბერლინ-შტეტლიც, 7 ივლისი 1925 წ.

«ძვირფასო ამხანაგებო!

რადგანაც საშუალება არ მაქვს—უმთავრესად შეუძლოთ ყრფნის გამო—და-  
ესწერო თავის დროზე წერილი თქვენი ჟურნალის პირველი №-სათვის. ვიჩქარი ძმური  
სალამი და ახალი ორგანოს წარმატების მსურველად სურვილები მაინც მოგიძღვნათ  
თქვენ და ყველა ქართველ ამხანაგებს, გმირულათ მებრძოლთ ბოლშევიკური უღლის  
წინააღმდეგ.

თითქმის მესამედ საუკუნის განმავლობაში რევოლუციური მოძრაობა ვითარ-  
დებოდა საქართველოში არა მარტო პარალელურათ, არამედ ხელისხელჩაკიდებული  
რუს მუშათა მოძრაობასთან, მასთან უმჭიდროესათ და, შეიძლება ითქვას, ორგანიუ-  
ლათ დაკავშირებული, საერთო იდეურ საფუძველზე, საერთო პროგრამით. ბოლშევი-  
კებმა ჩინითა და სისხლით გასწყვიტეს ეს კავშირი რუს და ქართველ ამხანაგებს შო-  
რის, რომლებიც ბრესტი-ლიტოვსკის მუხანათურ «ხავამდე» ორგანიზაციულად გაერ-  
თიანებული იყვენ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში». ქართველი ამხანა-  
გები მის ყველაზე შეგნებულ და აქტიურ რაზმს ეკუთვნოდენ, მათ ერთი პირველ-  
ადგილთაგანი უჭირათ მის ავანგარდში.

და ნუ თუ ბოლშევიკების მიერ სისხლიანი ძალმომრეობით ჩამოგდებული გა-  
თიშვა სამუდამოთ მოულებს ბოლოს ჩვენს ძველ ძმურ ერთობას. დასტოვებს, ერთი  
მხრით, ქართველ, მეორე მხრით—რუს სოციალისტურ პროლეტარიატს იმ ურთიერთ  
განმარტობაში, ურთიერთ დაშორებაში, რომელშიაც აღმოჩნდენ ისინი მის შემდეგ,  
რაც ბოლშევიკებმა სისხლიანი გამარჯვება მოიპოვეს მთელ რუსეთის დემოკრატიაზე?

პირადათ მე ფსიხოლოგიურათ მეძწელება ამის წარმოდგენა. განა შესაძლებელია,  
რომ რამდენიმე საშინელ და მძიმე წლებმა, რომლებიც განვლო თქვენმა და ჩვენმა პრო-  
ლეტარიატმა, აღმოგვიჩინა მათი სოციალისტური ავანგარდის ხსოვნიდან სასახლო  
ტრადიციები მათი ძმური გმირული ბრძოლისა კაპიტალისტური ექსპლოატაციის და  
მეფური აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ! უნდა გამოვტყუდე, მე აქამდის ვერ შევრიგებ-  
ვარ იმ აზრს, რომ ყოფილ რუსეთის სოციალისტურ დემოკრატიაზე ბოლშევიზმის  
გამარჯვების წყალობით საბოლოოთ უნდა გაწყდეს ძმური კავშირი რუს და ქართველ  
მუშების ავანგარდთა შორის. ქართველი სოციალ-დემოკრატიის უბედურება თუ ბედ-  
ნიერება, მისი უიერი თუ სიხარული (რამდენადაც ამ უკანასკნელზე საზოგადოთ შესა-  
ძლებელია ეილაპარაკოთ ჩვენ დროში) ისევე ზედება ჩემს გულს, როგორც წინეთ და  
როგორც ყოველივე ის, რაც რუსის სოციალ-დემოკრატიას შეეხება. აი რატომ გამა-  
ხარა ასე ღრმით და ძლიერ იმ ცნობამ, რომ თქვენ შეუდგით საზღვარ-გარეთელ პარტი-  
ულ ორგანოს გამოცემას თქვენს სამშობლო ენაზე.

თქვენ იწყებთ მას იმ მომენტში, როცა რუსის მუშები, როგორც სრანს, იწყებენ  
გამოფხიზლებას იმ ღრმა ლეტარგიულ ძილისაგან, რომელიც მათ ბოლშევიკურმა რე-  
ვიზმა მოჰგვარა. ამასი მე მარწმუნებს ფაქტიური ცნობები რომელსაც ვაპოვობ რუ-  
სეთიდან ამხანაგების მიერ მოწერილ წერილებში ჩვენ საზღვარ-გარეთის დელეგაციის  
სახელზე და «სოციალისტური უწყების» უკანასკნელ კორესპონდენციებში. ამ ცნობე-  
ბის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რუსეთის სოციალისტურ დემოკრატიისა-

თვის დგება ანახლოვდება ის დრო, რომელიც რამდენიმეთ წაავგეს ჰის მიერ 90-ან წლების დასაწყისში განცდილ მომენტს; ეს იყო გარდამავალი ხანა, რომელსაც, თითქმის 15 წლის უკიდურეს საზოგადოებრივ მოღვაწეობის შემდეგ მოჰყვა საზოგადოებრივი აზრის ხელახალი აღორძინება, რევოლუციური მოძრაობის ხელახალი გამოცდობა 90-ან წლების მეორე ნახევარში.

აქვე მოვავანებთ, რომ საზოგადოთ რუსის ხალხის მასები ხმამაუღლებლი რომ იტანენ ბოლშევიკურ უღელს. ჩვენში ადგილი ჰქონდა მრავალ ხალხურ აჯანყებებს, რომლებიც ისეთივე შეუბრალებელი ძალადობით იქნა ჩაქრობილი, როგორც თვით ქართველმა ხალხმაც განიცადა თავის გმირულ ბრძოლაში. ჩვენი პარტიაც არ ხედება ბოლშევიკების ბატონობას გულზე ზელდაკრეფილი, როგორც პასიური მყურებელი ბოლშევიკური აზივლობისა. მრავალი ათი ათასი ჩვენი ამხანაგები, ციხეებში მჯდომნი, სხა და სხვა «სოლოვეკებში» და საკონცენტრაციო ბანაკებში დატანჯულნი, კატორღაში დაღუპულნი და ბოლშევიკური სამეფოს მიყრუებულ, უდანო ადგილებში გადასახლებულნი—ეს საკმარისათ დამარწმუნებელი და მკერმეტყველური მოწმობაა რუს სოციალისტების შეურიგებელ ბრძოლისა ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ და მათი შეუწყეტელი არალეგალური მუშაობისა ამ დიქტატურის მოსპობისათვის საჭირო მებრძოლ ძალთა დასაგრეებლათ.

არ არის საჭირო გითხრათ თქვენ, რომ როგორც სპეციალურათ ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის გასაჩაღებლათ, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის პრინციპიალური და ფართე მიზნების თვალთახედვით, უკიდურეს საჭიროებას შეადგენს, რომ ქართველი ხალხი რაც შეიძლება უკეთ იყოს გაცნობილი რუსის ხალხის და მისი სოციალისტური ავანგარდის მდგომარეობას, სულისკვეთებას და განმათავისუფლებელ ბრძოლას. რა თქმა უნდა, ქართველი სოციალ-დემოკრატიის ორგანო აიღებს თავისთავზე ამ ამოცანასაც. და იბრძოლებს რა ქართველი ხალხის განათვისუფლებისათვის ბოლშევიკურ იმპერიალიზმის მოსობისაგან, თქვენი ვურნალი, ამასთან ერთად, ემსახურება ქართველ და რუს სოციალ-დემოკრატიის შორის მჭიდრო კონტაქტის და მშური ერთობის აღდგენის საქმეს. წინააღმდეგ ისტორიის ბოროტი ირონიისა, რომელმაც გაგვითოზა ბოლშევიკების სასიხარულოთ—ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ძველი მშური კავშირი.

გაუმარჯოს ქართველ და რუს პროლეტარიატს და მათ სოციალ-დემოკრატიულ ავანგარდს!

პ. აქსელროდი.

რედაქციისათგან. დიდთ სასიხარულოთ მიგვანია, რომ ჩვენმა უძველეს მსწავლებელმა პ. აქსელროდმა, მიუხედავათ მისი ავთმყოფობისა, ჩვენ გამოგვეზმადურა და გავამხნევა. აქსელროდს ჩვენ არ დაუტოვებიათ თავის მფარველობის გარეშე არასოდეს, არც დაღვინებაში, არც გაპირებაში. ის თავიდანვე მიხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას და მას დამცველათ მოველინა. მისმა ავტორიტეტმა, მისმა გავლენამ არა ერთი და ორი ს.დემ-ის გული მოაბრუნა ჩვენსკენ. და თუ დღეს მთელი ინტერნაციონალი, გამოუკლებლიე, მხარს გვიჭერს, ამაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი აქსელროდს. მართალია საქართველოს სოც.-დემ. პარტია გამოეთიშა რუსეთის სოც.-დემ. პარტიას, მარა ეს გამოთიშვა არის მხოლოდ ორგანიზაციული და არა იდეური. ჩვენთვის რუსეთის სოც.-დემ. პარტია რჩება უახლოესი, უსაყვარლესი მომე პარტია, რომლის ჰირი და სიხარული ჩვენი ჰირი და სიხარულიც არის. და დღეს, რაცა ჩვენი პარტია და მასთან ერთათ მთელი ჩვენი მშრომელი ხალხი ასე იტანჯება ბოლშევიკურ ტირანიით—ჩვენს გვერდში დგას იგივე მომე პარტია და თავის მფარველობას და დახმარებას არ გვაკლებს. არა, ჩვენ გათიშული არ ვართ, პირიქით, ჩვენი ნამდვილი ერთობა და მშური დამოკიდებულება ახლა, ამ ჩვენს გაპირებაში მკვიდრდება და მტკიცდება. ბოლშევიზმის დაცემა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა საბოლოოთ მოგვეცეს საშუალებას დავემკვიდროთ მეგობრული განწყობილება რუსის ხალხთან და ვიქონიოთ მშური ერთობა რუსეთის სოც.-დემ. პარტიასთან.

გუსურებთ ამხ. აქსელროდს თავის თვალთ ენახოს ეს ორმაგი გამარჯვება და მოხუც სიმე ანიეთ მისი მიმრქმელი გამზღარისოს.

ეროვნული მოძრაობა და სოციალური იდეალი.

II)

ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლამ ყველაზე ღრმა კვალი იქ დატოვა, სადაც ის თავის დროის მოწინავე სოციალურ იდეალით იყო გამსჭვალული.

ევროპის წარსულ ისტორიაში ორ ჩაგრულ ერის ბრძოლამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება—ესენი იყვენ პოლონეთი და იტალია. ამ ერების ბრძოლას სათავეში უდგა არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული დემოკრატია. მაგრამ ამ უკანასკნელმაც იგრძნო, რომ ჩაგრულ ერთა საქმე მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობის საქმეა. საფრანგეთის რევოლუციის ქუზილს კოსტიუშკომ ვლენთა განთავისუფლების მანიფესტით უპასუხა და პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა რევოლუციის პრინციპებს დაუკავშირა. პოლონეთის თავისუფლებისთვის ბრძოლა რამოდენიმე თაობა ამ გზითვე მიდიოდა. მთელ ევროპაში—ამბობს პოლონეთის ისტორიკოსი,—სიტყვა «პოლონელი» რევოლუციონერის სინონიმით გარდაიქცა. როგორც კი სადმე იწყებოდა თავისუფლებისთვის ბრძოლა, როგორც კი ხალხნი არსებულ წყობილების წინააღმდეგ სიმართლის და სამართლის იდეალის სახელით აღდგებოდნენ,—თანამედროვეთა თვალწინ იხსნებოდა სამართის ქვა და მივიწყებულ სასაფლაოდან პოლონეთის წამებული სახე ჩნდებოდა. ის ასეთ წუთში მუდამ ცოცხლდებოდა და, რაკი თავისუფლებისთვის ბრძოლა იწყებოდა, ის მკვეთრი ხმით აცხადებდა: «მე აქ ვარ!»

ასეთივე სულისკვეთებით აღვსილი იყო იტალიაში გარიბალდის მოძრაობა, მსოფლიო სოციალურ განახლების ძალებთან მკიდროთ შეკავშირებული. ცნობილია სოციალისტურ ინტერნაციონალის თანაგრძნობა პოლონეთის და იტალიის დამოუკიდებლობისადმი—დღიდან ამ ინტერნაციონალის ჩასახვისა.

რა მოუტანა პოლონეთს და იტალიას იმ დროის მსოფლიო მოწინავე ძალებთან ერთობამ? მართალია მას დაუყოვნებლივი პრაქტიკული შედეგი არ მოყვლია, მაგრამ ერის თავისუფლებისთვის მებრძოლი თაობები მან საკაცობრიო იდეალებით აღადრთოვანა. პოლონეთის და იტალიის საქმეს მან მთელ ევროპის დემოკრატიის თვალში ცნობა და თანაგრძნობა დაუშვედრა და ამით მათი საბოლოო განთავისუფლება გაადვილა. დღეს, როდესაც ორივე ამ ხალხს თავისუფლება მოპოვებული აქვთ, მათ ბედს სულ სხვა ვეგარი ძალები განაგებენ, მაგრამ დღესაც პოლონეთი და იტალია კოსტიუშკოს და გარიბალდის ხსოვნის წინაშე მოწინააღმდეგეობით ქედს იხრიან, მათ აცხადებენ თავის მხსნელებათ და ეროვნულ მისწრაფებათა უშმაღლეს გამომხატველებათ. თაობიდან თაობაში მათი სახელი აგონებს ხალხებს,—რომ ჩაგრულ ერთა აღორძინება მსოფლიო სოციალურ წინსვლასთან განუყრელია.

თუ ეს შეიგნო პოლონეთის და იტალიის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო განმათავისუფლებელ ძალების ერთობა ნაკლებათ გამოხატული იყო, როგორ არ უნდა შეიგნოს ეს სიმართლე ჩვენმა მშრომელმა ხალხმა, მთელ მის სოციალურ ერთარებით მუშათა საერთაშორისო მოძრაობასთან თან შეხრდილმა და შესისხლბორცებულმა?

მე არ მეგულეება ხალხი. რომლის ეროვნული მდგომარეობა ერთა სოლიდარობის განმტკიცებას უფრო მწვავეთ მოითხოვდეს, ვიდრე ამას საქართველოს მდგომარეობა მოითხოვს.

ამიერ-კავკასიაში ჩვენ უცხო ტომის ხალხებით გარშემორტყმული ვართ. კავკასიის მთელი ისტორია იმის მაჩვენებელია, თუ რა გაუხსნელი კვანძი წინააღმდეგობისა იბადება ამ ერთა შორის. როდესაც თვითველი მათგანი ეროვნულ ეგოიზმის პოლიტიკას აბორციელებს. ჩვენი ერის ხსნის გზა ის არის, რომ მან კავკასიის ხალხთა განწყობილებაში ახალი, დემოკრატიული პრინციპი შეიტანოს და ერთა სოლიდარობის განსამტკიცებლათ მთელი ის ავტორიტეტი გამოიყენოს, რომელიც ამ პრინციპის მატარებელ საზოგადოებრივ ძალას თანამედროვე საერთაშორისო განვითარებაში მიე-

ცა. ამ გზით სვლის ნაცვლათ რომ მან «წმინდა» ნაციონალური დროშა ააფრიალოს და ამიერკავკასიაში მეტბრძოლ ორ ნაციონალიზმს მესამე მიუმატოს. ეს ხომ კავკასიის ერთა განწყობილებაში საბედისწერო გართულების და გამწვავების ხანას დაამყარებს.

მეორე მხრით—და ეს, რამდენთააც მე მესმის, «წმინდა» ეროვნულ პოლიტიკის მთავარი მოთხოვნებია—ამ გზაზე შედგომა უნდა აღინიშნოს რუსეთის მთელი ხალხის წინააღმდეგ საქართველოს გაერთიანებულ ფრონტის აღმართვით. თუ პოლონეთის განთავისუფლებისთვის მეტბრძოლი—რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობასთან გამწვავებულ ბრძოლის დროს—თვით რუსის ხალხში მოკავშირეებს ეძებდენ და რუსეთის დემოკრატიას ამ სიტყვებით მიმართავდენ: «ჩვენ ვიბრძვიან ჩვენი და თქვენი თავისუფლებებისთვის». ამის მაგიერ ჩვენი ხალხი, დიდი ხნით ერთა სოლიდარობის პრინციპზე აღზრდილი, თურმე სულ სხვა გვარათ უნდა მოიქცეს: რუსეთის სოციალისტურ დემოკრატიასთან წარსული ბრძოლით შექმნილი იდეური კავშირი დაივიწყოს, რუს სოციალისტებიდან ჩვენი თვითგამორკვევის უფლების დაცვა არაფრათ ჩაგდოს, საერთო მხაგვრელთა წინააღმდეგ შეთანხმებული ბრძოლა უარყოს და მთელი თავისი ძალა იქით მიმართოს, რომ ქართველი ერთი რუსეთს, როგორც ეროვნულ მტერს, დაუპირდაპიროს. თუ რა ბედს უქადის ჩვენს ხალხს ეს პოლიტიკა—ჩვენსა და რუსეთს შორის იმავე დამოკიდებულების დამყარება, როგორიც სომხეთ-ოსმალეთის შორის არსებობს,—ეს ძნელი მისახვედრი არ არის.

ასეთ გზისთვის ურჩევან ჩვენ ხალხს იმ ძველ, ნაცად გზის მიტოვებას, რომელმაც ოცდაათი წლის განმავლობაში მისი წინ-სვლა და წინში გამართვა აღინიშნა.

ამგვარი ქადაგი წინათაც არსებობდა, მაგრამ დღეს მას განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოვებყრათ. ჩვენი ხალხი დღეს ისეთ საშინელ პირობებში ცხოვრობს, რომ ის ნაციონალისტურ გრძობებით გატაცებისგან დაკუთლი არ არის. თუ ბოლშევიზმმა პირდაპირი იერიშით მისი სულიერი სიმტკიცე ვერ გატეხა, ამ სიმტკიცის შერყევა მას არა პირდაპირი გავლენით, ნაციონალისტურ სულისკვეთების შექმნით შეუძლია. და ეს არა მარტო ნაციონალიზმის, არამედ აგრეთვე ბოლშევიზმის უდიდესი გამარჯვება იქნება, თუ მისმა ბატონობამ ხალხის ბრძოლას ის სული გამოაცალა, რომელიც ჩვენს ეროვნულ მოძრაობას მსოფლიო განმათავისუფლებელ იდეალს და მის მატარებელ ძალას უკავშირებს.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რა როლი ითამაშა ინტერნაციონალმა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. მაგრამ ესეც რომ ასე არ ყოფილიყო, რომ პირდაპირი გამოძახილი აქ საქართველოს არ ენახა, განა მთელი თავის მოქმედებით მსოფლიო სოციალიზმი არ აშხადებს ხალხთა ურთიერთობის ისეთ გარდაქმნას, რომელიც ჩაგრულ ერთა განთავისუფლების ერთათ-ერთი უტყუარი იმედი?

ჩვენი ხალხი მრავალი წლის განმავლობაში ამ დროშის ქვეშ იბრძოდა. იბრძოდა იმ დროს, როდესაც ინტერნაციონალის გამარჯვების დღე უფრო შორეული იყო. და დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში თან და თან ეს მოძრაობა რეალურ ძალათ ხდება და თავის მისწრაფებათა განხორციელების ეკამს უახლოვდება, დღეს ჩვენმა ხალხმა მას გვერდი უნდა აუქციოს? ვინც ნაციონალიზმით დაბრმავებული არ არის, მან იცის, რომ ეს დანაშაული იქნებოდა არა მარტო მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ. ეს ჩაგრულ ერისთვის—მის ცხოველ წყაროს დაწმობაც იქნებოდა.

იმ, წერეთელი.

## ბრძელები კომუნისში და ადმოსავლეთი.

ბოლშევიზმი ახალ ფერიცვლებას განიცდის.

შინაურ პოლიტიკაში მან ქალაქს ზურგი აქცია და პირი გლუხკაცობისაკენ იბრუნა, ხოლო თვით გლუხთა შორის ის ამ ეკამათ ღარიბთა ნაცვლათ ჩარჩებს ეყრდნობა. «კულაკი» ანუ მსხვილი გლეხი—ი ის ახალისი ძალა, რომელიც ზინოვიევი-ბუხარინების რეცეპტით სოციალიზმის დამყარებას აჩქარებს.

მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლშევიკური ნახტომი საგარეო პოლიტიკაში. კომუნისტთა მეთაურებმა უკვე დაკარგეს იმედი, რომ ლენინის «მედიკურა»

რევოლუციის ვეროპის პროლეტარიატი აყვება და მით განამტკიცებს სტალინ-კამენევის ტაბტს მოსკოვში. ბოლშევიკები ნათლათ ხედვენ, რომ ხდება ვეროპის სტალინ-ლიზაკია და უფრო და უფრო აშკარადდება საბჭოთა რუსეთის გარიყვა. ამიტომაც არის ჩიჩერინის საგარეო აგენტურა—მესამე ინტერნაციონალი პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებს. ნაცვლათ სოციალური რევოლუციის მოწყობისა დასავლეთში კომინტერნი აღმოსავლეთის დამორჩილებულ ერებს მიმართავს, კლასთა ბრძოლის მაგიერ ეროვნულ ბრძოლასა და შუღლს აღვივებს.

მიზანი აშკარაა. ამ გზით ელტვიან არა ეროვნულ ჩაგვრის მოსპობას და დამორჩილებულ ერთა საყოველთაო განთავისუფლებას. კომუნისტთა მეთაურებმა კარგათ იციან, რომ თვით საბჭოთა კავშირში მრავალი ერი იხნიჭება ბოლშევიკური დესპოტიის ქვეშ და სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს. საკმაოა თუნდაც მოვივროთ საქართველო და საერთოთ კავასია. კომინტერნის უკანასკნელი გზა—ეს სამხედრო ფანდია, ახალი სტრატეგიაა, ვეროპის კაპიტალიზმზე პირდაპირ თავდასხმის მაგიერ მისთვის ალყის შემორტყვაა. ჩინეთის, ინდოეთის, ინდო-ჩინეთის, მაროკოს და საერთოთ კოლონიების დარაზმები მოსკოვის მთავრობა ძველი რუსეთის ჩვეულებრივ ინტრიგას განაგრძობს.

ცნობილია მეფის მთავრობის პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ის აქ სლოვიან ერთა «მფარველთა» გამოდიოდა და მათ ხშირათ აჯახებისკენ უხმობდა. მიზანი იყო არა «თანამოქმეთა განთავისუფლება», არამედ ოსმალეთის დასუსტება, სტამბოლის დაპყრობა და მოქიშვე დიდ სახელმწიფოთა დაუძღურება. ასეთივეა ჩიჩერინის აგენტურის—კომინტერნის—პოლიტიკა აღმოსავლეთში. დამორჩილებულ ერთა წაქეზებით და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ დარაზმით საბჭოთა რუსეთი ორ მიზანს ემსახურება. პირველ ყოვლისა თავის სამფლობელოს გაფართოებას. ამას ეხებადვთ ჩვენ ფაქტიურათ მონგოლეთში. ტერიტორია. სადაც კომუნისტური წყობილება ბოლშევიკთა ხიშტით მკვიდრდება, საბჭოთა კავშირის წევრთა ცხადდება. მაგრამ უფრო რეალურია მეორე მიზანი. კოლონიალურ ერთა დარაზმით თავის დიპლომატიურ საქმეებს აწყობენ. ინგლისმა უარყო საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური შეთანხმების პროექტი. ამით ბოლშევიკთა იმედი, უცხოეთში სესხი აიღონ და ის თავისი ბატონობის განახარძლივებისათვის გამოიყენონ, გაცრუდა. და აი რუსეთიც ჩვეულებრივ ინტრიგებს შეუდგა და ჩინეთისა და ინდოეთის დარაზმებს ლამობს. ან სესხი მოსკოვის მთავრობას ან და აჯახება კოლონიების—ასეთი ალტერნატივით მიმართავენ დიდ სახელმწიფოებს და პირველ ყოვლისა ინგლისს. რაგორც ზედავთ. ახლისა და აფრიკის დამორჩილებულ ერთა ამბობება და სისხლის ღვრა საბჭოთა რუსეთის ხელში არის პირველ ყოვლისა უბრალო მასალა დიპლომატიური ინტრიგის და სხვა არაფერი. ამასთან ასეთი გზით მსოფლიო კაპიტალიზმის დასუსტებას ლამობენ.

უკვს გარეშეა, იმპერიალიზმს ახალი საფრთხე მოელის. ჯერ იყო და მსოფლიო ომის ხანაში დიდმა სახელმწიფოებმა თვითვე გამოიწვიეს ქვესახელთა ძალები, ომში მრავალი კოლონიალური ერი ჩააბეს, მათ ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველთა ხმარება ასწავლეს, მილიტარიზტულთა გავრთნეს და მით თავისი მტერი ასპარეზზე თვითვე გამოიყენეს. და აი ამ გამოფინებულ ერებს დღეს იარაღთ იყენებს საბჭოთა რუსეთი, აძლევს ფინანსურ დახმარებას. უზუნაენის ავტორტორ-პროპაგანდისტებს, აწვდის თოდ-ზარბაზნებს და ვეროპა-ამერიკის წინააღმდეგ მიმართავს.

დამორჩილებულ ერთა ბრძოლა თანდათან ფართოვდება. მთელი აღმოსავლეთი ფეხზე დგას. ის საომრათ უკვე დარაზმულია, არა და ძალღონეს იკრეფს და ასპარეზზე გამოსასვლელათ ეწყობა. მსოფლიო ომის შემდეგ პატარა ერთა ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. მათი განთავისუფლება დღის წესრიგში დაისვა. კიდევ მეტი, ის აუცილებელი შეიქნა.

რას უქადის ეს ახალი ხანა თვით საბჭოთა კავშირს? ამაგრებს მას თუ ასუსტებს? ახალ მოკავშირეს მატებს თუ მტერს უშნადებს?

საბჭოთა რუსეთი ფაქტიურათ აღმოსავლეთის სახელმწიფოა. ასეთია მისი სოციალური შენობა, აზიურთა მისი სახელმწიფოებრივი ტრადიციებიც. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბოლშევიზმი უარყო დასავლეთთა ვეროპამ, დაგმო ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის მუშათა კლასმა, ბოლო აღმოსავლეთში მას პატივს სცე-



მენ, ვიდრე მეტი, მას ხშირათ იშველიებენ. ქვემო ფაშამ საბჭოთა რუსეთის დახმარებით დაამარცხა ბერძენები, ხოლო ავღანისტანში მოიპოვა დამოუკიდებლობა. რუსული კომუნისმი უკნება ლონდონში, ხოლო ვითარდება ქაბულსა და კანტონში. და ამ ამ ხანათ მას ხელს უწყობს ჩინეთი. ის ბოზოქრობს, ებრძვის უცხოელთ და ექვს გარეშეა დღეს თუ ხვალ სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, სუვერენიტეტს განამტკიცებს და თავისი მიწა-წყლის ბატონ-ბატონი თვითვე ვაზდება. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურ ინტრიგას ჩინეთი თავის განთავისუფლებისათვის იყენებს.

თავის დროზე ქვემო ფაშამ ისარგებლა მოსკოვის დახმარებით, უბნათ იღებდა რუსულ ოქროს და თოფიარაღს, დღესაც დროგამოშვებით წმინდა—რუსულსა და წმინდა—ბოლშევიკურ ადმინისტრაციულ ხომებს მიმართავს, მაგრამ ბოლშევიკურ იდეოლოგიას მტრობს და კომუნისტურ აგიტაცია-პროპაგანდას თვით ოსმალეთში გასაქანს არ აძლევს. მაგრამ ვააკეთა თავისი საქმე, მაერი უნდა წაივდეს.

თავის დროზე საბჭოთა რუსეთის მიერ იურიდიული ცნობა გამოიყენა ავღანისტანის ვიზრმა. მას შემდეგ ინგლისმა ალიარა ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობა და გააბათილა თავისი პროტექტორატი. მაგრამ ვაევიდა ხანი, ნათლათ გამოჩნდა, რომ ავღანისტანის ნომადები მსგავსათ ბოლშევიკებისა ძარცვა-გლეჯაში დახელაყნებული არიან და ამიტომაც ხშირათ ესხმიან თავს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიას, სამაგიეროთ მთელი თავისი ენერგიით ებრძვიან საბჭოთა ბრბოების შესვენას ავღანისტანში. კიდევ მეტი. ავღანელები თურქმენისტან-უზბეკისტანის ერების ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ დიდი ინტერესით ეკიდებიან და მათ დახმარებას უწყევენ. ე. წ. ბას-მაჩები თავს ხშირათ აფარებენ ავღანისტანში.

როგორც ხედავთ საბჭოთა რუსეთი აკეთებს ერთ საქმეს, ამხედრებს დამორჩილებულ ერებს ევროპის იმპერიალისტთა წინააღმდეგ, მაგრამ ბოლშევიკური საშოთხით მან ჯერ ვერაეინ მოხიბლა, კომუნისტური რევოლუციისათვის მან ვერაეინ გამოიყენა.

ახლა ჯერი მიდგა ჩინეთზე, სადაც 425 მილიონი მცხოვრები ითვლება. შეიძლება ჩინეთი გამოდგეს საუკეთესო იარაღი სოციალური რევოლუციის დასაწყებათ და მით ევროპა-ამერიკის კაპიტალიზმის ამოსაგდებათ!

ექვს გარეშეა ჩინეთში მოძრაობენ სხვა და სხვა კლასები, ერთი მეორეს ეჯახება სხვა და სხვა სოციალური ინტერესი. მუშები სასტიკათ ებრძვიან უცხო და შინაურ კაპიტალისტებს. მაგრამ მათი მოთხოვნილება ვანისახლერება სამუშაო დღის 10 საათამდე შემცირებით და ხელფასის მომატებით. სოციალურ რევოლუციასზე აქ ოცნებობენ მხოლოდ და მხოლოდ რუს-ბოლშევიკთა აგენტები და არა ხალხი და მისი წრეები. ეს ასედაც უნდა იყოს. ჩინეთი იტანჯება არა კაპიტალიზმის ფართო განვითარებით, არამედ მისი ნაკლები განვითარებით. ეს მოითხოვს პირველ ყოვლისა წინა საუკუნის განმავლობაში განმტკიცებულ უცხოელთა ბატონობის გაუქმებას, მათი კონცესიების გაბათილებას და ამ გზით ჩინეთის თანამედროვე სახელმწიფოთ გარდაქმნას. ამას ელტვის მთელი ჩინეთი. აქ ბურჟუაზია და მუშათა კლასი ერთათ გამოდიან, სტუდენტი და გლეხი ერთსა და იმავე მოთხოვნილებას აყენებენ. ეს უკუშპარიტათ ეროვნული რევოლუციია უცხოელთა უფლის გადასაგდებათ. აქ კომინტერნი და მისი თანხები ეროვნულ ბრძოლის გაღვივებას ემსახურება. ბოლშევიზმი სხვის საქმეს აკეთებს. მას ასწარებზე ახალი ქვემო ფაშა გამოყავს, რომელიც საბჭოთა რუსეთის ოქროს თავისი მიზნისათვის გამოიყენებს, ხოლო შემდეგ ბოლშევიზმს ზურგს აშკარათ შეაქცევს.

ეს ცოტაა, ჩინეთის ამოძრავება საბჭოთა რუსეთს ახალ საფრთხეს უშნადებს. კომინტერნი ხელს უწყობს აღმოსავლეთის ერთა დარბზვას, მაგრამ ეროვნული მოძრაობა ერთი კუთხიდან მეორეს ედვება, ფართოვდება და მტკიცდება. მართლაც, თუ აჯანყებულ მაროკოს მეთაური აბდ-ელ-ქერიმი გმირი და რიფების ქვეყანა დამოუკიდებლობის ღირსია, რა დაამავა საქართველომ და კავკასიამ. ჩინეთი, მას აღმოსავლეთი თურქესტანიც, საბოლოოთ უნდა განთავისუფლდეს—ქადაგობენ კომინტერნის აგენტები. მაგრამ აკი საბჭოთა კავშირის ბინადარი თურქმენები უფრო განვითარებულნი არიან, ვინემ მათი თანამემამულენი აღმოსავლეთ თურქესტანისა! თუ მინგოლეთი ღირსია თავისუფლების, ბურიატ-მონგოლთა ავტონომიურ რესპუბლიკის მცხოვრებნი აკი უფრო კულტურული ხალხია!

საბჭოთა რუსეთი აზია-აფრიკის ერთა გამოფიხილებას შეუდგა. ცხადია, ეს ტალღა ადრე თუ გვიან თვით აზიის რუსეთსაც გადაედება, რომელიც მოკიდებული თათართა-რუსპუბლიკიდან დასახლებულია მონგოლთა და მათ მონათესავე ტომებით. აქ რუსებს მხოლოდ რკინის-გზისა და დიდ მდინარეთა გასწვრივ შეზღუდებით. მათ უკირაეთ შედარებით უმნიშვნელო წერტილები იმ უდიდეს ტერიტორიისა, რასაც ეწოდება ციმბირი და იმიერ-კასპიის მხარე.

რუსეთის ბატონობა ამ ქვეყნებში შესაძლებელი იყო მანამდე. სანამ უძრავათ იდგა ჩინეთი, სანამ მონგოლთა ტომები საღათას ძილს მისცემოდნენ. დღეს ის ააბობოქრეს, დარაზმეს და მსოფლიო ასპარეზზე გამოიყვანეს. რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ეს ხდება თვით რუსეთის დღევანდელ მესვეურთა მეოხებით.

საბჭოთა რუსეთმა თავისი დასაქალაქი დახა თვითვე გააღესა.

ის ხელს უწყობს აზიის ერთა დარაზმვას, ხოლო მათი გამოფიხილება დასავლეთის ცივილიზაციის შეთვისებას მოასწავებს. აზია ევროპიულდება.

საბჭოთა რუსეთს უკვე ზურგი შეაქცია ევროპამ. ახლო მომავალში მის გარეყვას აზიის ქვეყნებშიც უნდა ველოდეთ. ყველა განთავისუფლებული ერთი ძალაუნებურათ შეებრძოლება რუსეთის იმპერიალისტურ მიდრეკილებებს აღმოსავლეთში და წინააღმდეგობა კომუნისტურ ექსპერიმენტებს.

ჩინეთის ამოძრავების პირველი ტალღა რუსეთის სახლვრებს დაეტაკება. პირველსავე გამოძახილს ციმბირსა და იმიერ-კასპიის მხარეში უნდა ველოდეთ.

ნ. რამისვილი.

### საერთო ფრონტისთვის.

საქართველოში წაშლილა პარტიული სახლვრები, ამბობენ ერთნი. მთელი ერთი გაერთიანებულია ერთი დროში ქვეშ. ესაა დროში დამოუკიდებლობის.

ს.-დ. გავლენა არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დღეს, ამოწმებენ მეორენი.

რომელია მართალი?

საქართველო გაერთიანებულია განთავისუფლების იდეით, ეს უდავოა, მარა უდავოა ისიც, რომ მის წიაღში კლასთა და პარტიათა ბრძოლა და მუშაობა სწარმოებს. საქართველო მთლიანად არის და დაყოფილიც.

როგორ თავსდება ერთად ასეთი წინააღმდეგობა?

ეს შეუძლებელია, დაუშვებელია, გაიძახიან აქეთ-იქედან; ერთი მიზანი. ერთი იდეოლოგია, ერთი დროშის სამსახური,—აი საუკეთესო პირობა ბრძოლის და გამარჯვების. პარტიული დროში მოიხსნას, გაერთიანების აღამი აფრიალდეს—აი ერთადერთი გზა ხსნის.

ერთი შეზღუდვით ეს თითქოს სრულიად უდავო ქუშმარიტებაა. ნამდვილათ კი მის ქვეშ დიდი გაუგებრობა და სერიოზული შეცდომა იფარება.

მთლიანობა, საერთო ფრონტი, როცა გარს გარეშე მტერი გადგია—ეს სასარგებლოა, კიდევ მეტი აუცილებელია. მარა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რასაც ხშირათ გვიკავდავენ: იდეოლოგიური გაერთიანებას ან პარტიათა გაუქმებას. პირიქით, იდეოლოგიური გახსნევენა, პარტიათა არსებობა—ისეთივე გარდაუვალია, როგორც პროგრესი, განვითარება; იგი შედევია ერის კლასიურათ დაყოფის, რაც თანამედროვე საზოგადოების ძირითად კანონს წარმოადგენს. ამიტომ მისი უარყოფა ნიშნავს—თანამედროვე ურთიერთობის უარყოფას და იმ პრიმიტიულ მდგომარეობაში დაბრუნებას, როცა ერთი იტყოდან დანარჩენები დაემოწმებოდნენ. ერის ერთფეროვან მასსათ გადაქცევა—ეს მხოლოდ დიქტატურის მოტრფილაღეთა ოცნებაა. ამას ცდილობენ დღეს ბოლშევიკები და ფაშისტები. ერთნიც და მეორენიც სწორეთ ამიტომ არ ცნობენ სხვა პარტიებს და სხვაგვარ აზროვნებას. ერს მინიჭებული აქვს მხოლოდ ერთი „კანონი“ აზრი და ერთი „კანონი“ პარტია. დანარჩენი ყოველივე ბოროტებაა და იდევნება.

ასეთი პირობები ნიშნავს—პროგრესის უარყოფას და აზიური მონობის გამეფებას, რაც ერს პოლიტიკურ სიკვდილს უქადის.

ჩვენ ასეთ პირობებს ვებრძვიტ და ამ ბრძოლაში თანამედროვე ევროპიულ ურთიერთობის ნიადაგს ვემყარებთ.

ჩვენ ვიცით, რომ ერის განვითარების მსვლელობა, ისე როგორც ყოველი თანამედროვე საზოგადოების, დამოკიდებულია მის კლასთა ურთიერთობის მსვლელობაზე; მათი ბრძოლით განისაზღვრება შინაური პროგრესი საზოგადოების, ხოლო მათი ასე თუ ისე შეთანხმებული თანამშრომლობით მისი გამძლეობა გარეშე ძალთა წინააღმდეგ.

კლასთა ბრძოლა—ღერძია ერის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების, ე. ი. საბოლოოთ ერის სიძლიერის. და ამ განვითარების პროცესში იგი თვით მკაფიოთ ყალიბდება და აყალიბებს სხვა და სხვა პარტიებს თავის გარკვეული იდეოლოგიით და მისწრაფებით.

მაშასადამე თქვენ კლასთა ბრძოლის გაჩაღება გსურთ, გინდათ თვით ქართველები ერთმანეთს შეგვესარისოთ? ასე მოვკვამებუნ აქეთ-იქიდან.

სრულიადაც არა. მე მხოლოდ ვამბობ, რომ კლასთა ბრძოლა აუცილებელი ფორმაა დღევანდელი საზოგადოების არსებობის და განვითარების. და მე მინდა ანგარიში გავუწიო მას, როგორც აუცილებელ მოვლენას, რომელშიც არის ძალა, და არის უძლეურებაც, თუ ის უკუღმართათ გავიგეთ. ის დიდი ძალაა შინაური განვითარებისთვის, და მაშასადამე გალონიერებისთვის. მარა იგი ასეთათ არ ჩაითვლება, როცა საქმე გარეშე მოწინააღმდეგეს ებება, რომელიც მთელ საზოგადოებას, მის ყველა კლასებს ემუქრება.

აქ, ვამბობთ ჩვენ, ადგილი უნდა მიეცეს კლასთა ასე თუ ისე შეთანხმებულ თანამშრომლობას. მხოლოდ ასეთ თანამშრომლობის ფორმაში შეიძლება ჩამოისხას ერთი მთლიანი ფორტი. მაშასადამე ამ მთლიანობას კქმნის არა კლასთა უარყოფა, არა პარტიათა დაშლა და მთელი ხალხის, მდიდრის და ღარიბის ერთ ჯოგში მოთავსება, არამედ კლასთა არსებობის ფაქტიდან გამოსვლა, მათი სისწორით გაგებულნი ინტერესების მხედველობაში მიღება და ასე საგარეო მტრის წინააღმდეგ ყველა ძალების შეთანხმებულათ მომართვა.

ცხადია ეს შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის ნიადაგზე, მხოლოდ ხალხის უმრავლესობის ნებასურვილის პატივისცემით და მის თავის მთავარ კანონათ აღიარებით.

ეს მიუღებელია მხოლოდ იმისთვის, ვისაც ერში ფესვები არა აქვს, და თავის ინტერესების დასაცველათ იძულებულია უცხო ძალა მოიპატიოს. ასეთი იყვენ წინეთ ის ფეოდალები, რომელნიც სპარს და თურქის ჯარებს მოუძლოდენ საქართველოში. ასეთი არიან დღეს ქართველი კომუნისტები და მათი ამჟამ-დამჟამონი რუსის წითელ არმიასე დაყრდნობილი. მარა ესენი ცხოვრებისგან განწირული არიან და ერისგან უარყოფილი.

სულ სხვაა ერის პროგრესიული ძალები, მათთვის ხალხის სურვილი საეცებით მისაღებია. მათთვის უცხო ძალის წინააღმდეგ შეთანხმებული გამოსვლა ძირითადი მოთხოვნილებაა. ამიტომ ყოველი პარტია და მიმდინარეობა, რომლის მომავალი ერის წარმატებასთან არის დაკავშირებული, საერთო ფორტში ებმის, რომ ამით საერთო საქმე აკეთოს და თავის სოციალურ წრის ინტერესებს უკეთ ემსახუროს. აქ ერის სასიკეთესო ინტერესები, როგორც ხედავთ, საეცებით შეთანხმებულია სხვა და სხვა კლასის არსებით ინტერესებთან. ასე იქედება ნამდვილი და მტკიცე საერთო ფორტი—ერის პროგრესიულ ძალთა კონცენტრაცია. მასში ვაბატონებულია პრინციპი დემოკრატიის. მთავარ საერთო ნაზს იძლევა უმრავლესობა, მარა უმცირესობასაც თავის ადგილი უკაეია და თავის ძალებისა და შეგნების მიხედვით საერთო საქმეს ემსახურება.

ამ რიგათ აქ თავმოყრილია ერის ცხოველყოფელი ძალები, მომავალ საქართველოს მატარებელი და განდევნილია მისი უარყოფელი. აქ მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი ერის განვითარებას, მის საშინაო და საგარეო გაკვირვებიდან ძლევა-მოსილ გამოსვლას. და აი აქეთკენ უნდა მივისწრაფოდეთ ჩვენ.

## იხვევ კაიათურა.

ქიათურის გაყიდვის ამბავი თანდათან ირკვევა. ბოლშევიკები ხელშეკრულების ტექსტს დღემდის არ აქვეყნებენ. მარა სამაგიეროდ მასზე ბევრს ლაპარაკობენ და როგორც ეს დიდ ცოდვილს სჯირს, მრავალ სიტუციანობით სურთ თავისი ცოდვა დაფარონ. ახლა საქმეში ჩაერთა თვით კომუნისტების ც.კ. და თავისი სამიტინგო ტუჩისები გამოაქვეყნა (აქომ. № 143). აქედან ჩვენ ვცუობილობთ არა მარტო იმას, რაც ვიცოდით—ქიათურის ჩალის ფასათ მიყიდვა ამერიკულ კაპიტალისტებისათვის, არამედ იმასაც, რაც არ ვიცოდით—მარგანეცთან ერთად მათვისავე მიუყიდიათ მეშათა ინტერესები. მეგლი და ბატკანი პირისპირ დაუყენებიათ. ც.კ. სწერს:

«ხელფასისა და შრომის სხვა პირობების გამომწვევება სავსებით დამოკიდებულია ურთიერთ შეთანხმებაზე მუშებსა და კონცესიონერს შორის».

ე. ი. აქ. მუშებისათვის ამ მთავარ მომენტში კაპიტალისტს ხელები გახსნილი აქვს და არავითარი ნორმით არ არის მისი მოქმედება განსაზღვრული. აქ უკუგდებულა პროლეტარიატის მთავარი მოთხოვნილება—ხელფასის მინიმუმის განსაზღვრა და ამის ალაგას წამოყენებულია «თავისუფალი შეთანხმება». სამ კონტრაგენტში—ორს ბოლშევიკებს და პარიზანს—ურთუნველყოფილი აქვთ თავისი შემოსავლის მინიმუმი, ხოლო მესამე—მუშები კი მას მოკლებულია. პირველი ორი შერითდენ მესამის წინააღმდეგ და მის ოფლზე ააგეს თავისი შემოსავლები. ასე აშკარათაა გათვლილი მეშათა ინტერესები. ეს კიდევ ცოტაა. არა მარტო ხელფასის, არამედ «შრომის სხვა პირობების» გამომწვევებაც პარიზანის ნებაყოფლობაზეა მიშებულნი. ხოლო როგორია მათი ნებაყოფლობა—ეს საყოველთაოდ ცნობილია. დღეს ყველა სახელმწიფოში სოციალისტური პარტია იბრძვის ამ ნებაყოფლობის ფარგლების შევიწროებისათვის და კაპიტალისტებისათვის საეკონომიკურად ნორმების კანონმდებლობით დაწესებისათვის. ბოლშევიკები კი აქაც ლალატობენ პროლეტარიატს და კაპიტალისტს უფლებას აღიარებენ.

პროლეტარიატი თხოულობს უფლებას გაეცნოს პატრონის დავთრებს, იყოს კურსში მისი წაგება-მოგებისა და ეს ცნობები დაუდვას საფუძვლათ თავის მოთხოვნილებებს. კაპიტალი ამას არ თანხმდება. აქაც ბოლშევიკები ემზრობიან კაპიტალს და პარიზანის საქმიანობა ყოველივე ამნაირი კონტროლიდან თავისუფალია.

ერთი სიტყვით. ბოლშევიკები სავსებით მიეყიდნენ პარიზანის კომპანიას და ძველი მანჩესტერული ლოზუნგი—მუშის თავისუფლათ გაყვლეფისა—თავის ლოზუნგათ წამოაყენეს. მაგრამ ვთქვათ, ქიათურის მუშა ამას არ დათანხმდა. პარიზანის მადან ვერ შეუთანხმდა, გადიცვა გამოცხადდა. აქეთ მათ ამის უფლება? თუ ამის უფლება აქვთ—ნორალობს არა მარტო პარიზანი, არამედ მისი მფარველი მთავრობაც. ამ შემთხვევაში ამათი ინტერესი ერთდება მუშის წინააღმდეგ და ჩეკაც ამოძრავდება. მუშას გადიცვის უფლება ერთმევა და ბოლშევიკ-პარიზანის ხელშეკრულ საწველ ფურათ ხდება. კაპიტალისტურ სახელმწიფოში მუშას აქვს საშუალება ებრძოდოს პატრონს, თავისუფლება გადიცვის, სიტყვის, კაენჭის, პრესის, კრების დაკანონებულია. ბოლშევიკურ-მეშინაურ სახელმწიფოში მუშას არცერთი ეს საშუალება არ აქვს და მასთანააღმდეგ ბრძოლით ის კაპიტალს ეყრატყვს გამოსტყავებს. აი ამ მონური მდგომარეობის დიდი იმედები აქვს ალბათ პარიზანს. ასეთ უმწეო მუშას ის მთელ დედამიწაზე ვერ იშოვის.

გაყიდეს რა ასე მუშების ინტერესები, ბოლშევიკები ახლა მას ხელს აფარებენ და პარიზანს წინდაწინ ქება-დიდებას ასხამენ. ც.კ. სწერს, რომ ის ვალდებულია დაემორჩილოს შრომის კანონმდებლობასო. კაპიტალისტი ყველგან ვალდებულია დაემორჩილოს არსებულ შრომის კანონებს. პარიზანს და ბოლშევიკებს ამით არაფერი ახალი არ უთქვამთ. საქმე იმაშია, თუ რა სწერია ამ კანონებში. რაკი ხელფასის და შრომის პირობების საკითხი პარიზანის ნებაზეა მიშებული. რჩება კანონით მისთვის სავალდებულო ერთადერთი რეა საათის სამუშაო დღე. მარა აქ პარიზანი დიდ მოგებაშია. ვინაიდან ევროპის მრავალ სახელმწიფოებში მალარობებში მეშაობა განსაზღვრულია არა რეა საათით, არამედ შვიდი საათით. ამ ჟამათ ინგლისის კაპიტალის-

ტები ედავეებიან მუშებს ამ საგანზე და ითხოვენ ისევე რვა საათის აღდგენას. ბოლშევიკები აქაც კაპიტალისტებს უმშვენიერეს მხარს და უკითხურის მაღაროს მუშას რვა საათს უკანონებენ პარიზანის სადღეგრძელოთ.

და რომ ეს შწარე სინამდვილე მუშებს სიტკბოებათ მოაჩვენონ, ბოლშევიკები შეუდგენ მიტინგების გამართვას და კონცესიონერის ქებათა-ქებას. ასეთ ლაჭობამდე არც ერთი ბურჟუაზიული პარტია არ დაქვეითებულა. მათი სამიტინგო ტენისებს რომ კითხულობთ—თავისთავს ეკითხებით, სად იწერება ეს—აფრიკის ველურ ტომებში თუ საქართველოში.

ეს პარიზანისტები სერიოზულათ ამტკიცებენ, რომ წელიწადში უკანასკნელი 16 მილიონი მანეთი დარჩება პარიზანის წარმოებიდან ჩვენ ქვეყანას და ეს იქნება «ჩვენი სახალხო მეურნეობის ფაქტიური შემოსავალი». მათ უკვე შეითვისეს ეულგარული ეკონომისტების ტერმინოლოგია. ისინი ახლა აღარ კითხულობენ იქას, თუ ვის ჯიბეში გადადის ეს ფულები, მუშის, გლეხის თუ ისევე კაპიტალისტების და მათი აწყობა-დაწყობის. უკითხურის მრეწველობაში მუდამ დიდი თანხები იმანდებოდა. მარგანეცის თვით ღირებულება მრავალი ათეული მილიონებით ისაზღვრებოდა და ეს ფული ადგილობრივ ტრიალებდა. მარა არავის უნახავს ამით აყვავებული მეურნეობა. მუშა ისევე გაუჩრებული რჩებოდა, გლეხი ისევე თავის ორქვევა მიწას ჩაიკრიკებდა, ხოლო ერთი მუჭა შინაური თუ უცხო მრეწველნი და ექსპორტიორები კი მდიდრდებოდნენ და ჭეიფობდნენ. ეს პრიმიტიული ცარცვა-გლეჯა კიდევ უფრო გაძლიერდება პარიზანისტების მეფობაში. ვინაიდან აქ შრომელი ხალხი თავის დაცვის ყოველივე უფლებას მოკლებულია. და აი, ეს კოლონიალური ექსპლოატაცია ქვეყნის და ხალხის, წარმოებული პარიზანი—ბოლშევიკების მიერ. სალდება დიდ ბედნიერებათ. ცის მანანათ, რასაც ამერიკელი კაპიტალისტი თურმე საქართველოს უძღვისს! გამოდის რომ პარიზანი კაპიტალისტი კიარაა, ქველმოქმედი, ჩვენ დასახმარებლათ და ასაღორძინებლათ მობრძანებული.

და ასე, კომუნისტები, გახდნენ რა პარიზანისტებათ, საბოლოათ ჩამოიხადეს პირბადე და კაპიტალისტთა დარაჯათ დადგენ. ახლა სიტყვა ეკუთვნის უკითხურის მუშას. მისი მოთხოვნილებაა—მაღაროებში შვიდი საათის სამუშაო დღე. მაღაროს ზემოთ რვა საათი. ხელფასის მინიმუმი; თავისუფლება გაფიცვის, კავშირის, სიტყვის, კრების, ბეჭდვის—ერთი სიტყვით ყველა იმ პოლიტიკური უფლების, რომლითაც ევროპიელი მუშაა აღუფრულოდ. მხოლოდ ამ გზით და ამ საშუალებებით შეუძლია პროლეტარიატს ბოლშევიკებ-პარიზანების კავშირის გატეხა და თავის საარსებო ინტერესების დაცვა.

### სამუშაოთა თფილისის სამართალი.

ყოველ ქვეყანას აქვს სამართალი, გარკვეული, ჩამოყალიბებული, წინასწარ ცნობილი და გასათვალისწინებელი. მხოლოდ სამუშაოთა კომუნისტურ რესპუბლიკაში არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს. იქ მოქალაქემ არ იცის, ვინ და რისთვის გასამართლებს.

ყველგან ბრალდებულს აქვს უფლება თავის დაცვის, მოწმის მოყვანის, დამცველის თავისუფლათ არჩევის. სამუშაოთა რესპუბლიკაში კი ფაქტიურათ იგი ამასაც მოკლებულია. კანონები მართალია იქაც სწერია, კოდექსები შემუშავებულია, თითქოს ყველაფერი რიგზეა, როგორც დანარჩენ ქვეყნებში. მარა სხვაგან კანონები ზღუდავენ ყველას, ხოლო სამუშაოთა ქვეყნებში არა. აქედან გამორიცხულია ხელისუფლება, რომელიც კანონზე მაღლა დგას და მას როგორც უნდა, ისე ატრიალებს. უნდა ჩვეა ფარულათ დასჯის, უნდა ჩვეისტებს მოსამართლეთ დააჯენს და სამართალობიას გაათამაშებინებს. მისთვის ყველაფერი ნებადართულია.

ერთი ასეთი გათამაშება მოხდა თფილისში ამ წლის ივლისში. სამართალში იყო მიცემული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და მასთან ერთად 40-ზე მეტი პირი, რომელთაც ბრალდებოდით გასულ წლის აგვისტოში აჯანყების მოწყობა და შეთაურაბა.

ჩვენ ხელთ არ გვაქვს ყველა მასალები ამ პროცესის, რაც გვაქვს იგიც ბრალ-  
ვიკტორ წყაროდან, მაშასადამე ცალმხრივი, თვით ხელისუფლების სასარგებლოდ არჩე-  
ლი. მარა, რაც გვაქვს, იქიდანაც სიანს საკმაოდ მისი ნამდვილი სახე.

მართლაც საკვირველი სასამართლოა! მოსამართლეებათ წამოსკუბებულან ცნო-  
ბილი ჩეკისტები, რომელთაც ათასობით აჯანყების მონაწილენი და არა-მონაწილენი,  
მძევლებათ ციხეში მსხდომნი. თუ ქუჩაში მოკრეფილი, დახვრიტეს, მათ უნდა დასდონ  
მსჯავრი მიუდგომელი ამ 47 კაცს, დახვრეტილთა ამხანაგებს.

მოწმეები მხოლოდ ბრალმდებელს ყავს გამოწვეული. ბრალდებულთ კი ამაშიაც  
უარს ეუბნებიან. ან რათ უნდათ მათი მოწმეები? ეს ხომ დროს დაკარგვია, გეგმის ჩა-  
ფუშვია! სასამართლოს კომედია წინასწარ გათვალისწინებულია. მისი ყველა დეტალე-  
ბი შემუშავებულია კვანტალიანის კაბინეტში. როლები განაწილებულია და აქ ყველა  
ახალი პირი მხოლოდ ხელის შემშლელი იქნება. მაშ შორს დამცველთა მოწმეები!

თვით დამცველებიც დანიშნული არიან. მათი ესა ამით წინასწარ დაბმულია.  
ვაი იმის ბრალი, ვისაც ზედმეტი წამოსცდება. ჩეკა და მისი ჯანი!

მაშ ვისთვის და რისთვის დასჯირდათ ეს სამარცხვინო პაროდია სასამართლოსი  
საქართველოს ოკუპანტებს?

იმ 47 კაცისთვის, რომელნიც ბრალდებულთა სკამზე დასვეს? მარა მათი «დანა-  
შაული» უკვე გარკვეულია და მსჯავრდადებული, მათი ამხანაგები. მათთან მებრძოლი  
დამოუკიდებლობისთვის, მიწაში ასვენია. მაშინ სასამართლო არავის გახსენებია. მათ  
თი საფლავებზე კი დღემდე დაფარულია. მხოლოდ მათი სახელი დარჩა ერის გულში  
იქვდავი, დაუეწიყარი, ძეგლ-აგებული.

მაშ რაღა დღეს მოაგონდათ 47 პირის გასამართლება? რაშია საქმე?

როცა ათასები დახვრიტეს შერჩევით, წინასწარ მოფიქრებულათ, დახვრიტეს  
ბრალიანი და უბრალო—ამით უნდადათ სისხლიდან დაეცალათ ან როგორც თვით ამ-  
ბობენ, ფიზიკურათ გაეულიათ მოწინააღმდეგე—მებრძოლი საქართველო და მისი მე-  
თაური პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორის პირველი იყო სოც.-დემ. მუშათა  
პარტია. უდიდესი ავტორიტეტით და ფართო გავლენით აღმუქრვილი.

ახლა ამ შემომანახული 47 კაცის სახით მოისურვეს გასამართლება თვით მოძრაო-  
ბის, თვით იდეის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, და მისი მატარებელი პარტიე-  
ბის, აქაც, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა სოც.-დემ. პარტიის, როგორც მთავარი  
ხელმძღვანელის.

მთელი პროცესი აქეთვე იყო მიმართული. ყველა რენეგატები, გავარდნილი  
ფირადნი. ჩვეის მოსყიდული თუ დაშინებული აგენტები მოწმეებათ იყვნენ მოწვეუ-  
ლი. მათ უნდა ეგმოთ და ემაგებიათ ს.-დ, პარტია, დამოუკიდებლობის კომიტეტი და  
მათი მოქმედებაში ყაჩაღობა, ბანდიტობა და სხვა ასეთი ბორცტებანი აღმოჩინათ.

საბრალო კომუნისტებიც ეს მსოფლიო ცარცვა-გლეჯის მოციქულები, ყაჩა-  
ღობის სახელმწიფოებრივ-სიბრძნეთ აღმსარებელნი, სხვის თვალში ექებენ ბეწვს, და  
სინამდვილეში რომ ვერას პოულობენ, ქმნიან ლეგენდებს, ყურით ან უკეთ თოკით  
მიათრევენ მოწმეებს და მეურ რა მოწმეებს... ისეთებს, რომელნიც თვის დანაშაულზე  
მოგვიფხობენ, ყაჩაღობაში, თავდასხმებში თავის მონაწილეობას აღიარებენ და მინც  
მოწმეთ არიან და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ თავის ბორცტგანზრახვის თაოსნო-  
ბას პარტიის რომელიმე უკვე დახვრეტილ წევრს აბრალებენ.

ცოცხალი ბრალდებულნი ამ ლეგენდებს უარყოფენ. მარა მათ არავინ იხე-  
ნებს, წინასწარ სამარეში დამარბულნი კი ვერას იტყვიან, თავს ვერ დაიცავენ, და ასე  
ყაჩაღები ყაჩაღთა შემწეობით სიმართლეს ქმნიან, ერს და მის ხელმძღვანელთ აბურ-  
თავენ...

ასეთია მათი მართლმსაჯულება.

მარა ქართველმა ხმლხმა კარგათ იცის ფასი ამ ჯალათთა სასამართლოსი.  
რესპუბლიკის მთავარ პროკურორის თანაშემწე ღირსეული ბ-ნი ოკუჯავა თავის პირით  
აღიარებს, რომ გასამართლებას მნიშვნელობა აქვს არა ქართველებისათვის, არამედ  
ვეროპის პროლეთარიატისათვის.

ჩინებული ხელობაა გასამართლება უცხოელთათვის! ვეროპის პროლეტარია-  
ტმა უნდა დანიხოს, რომ კომისართა დიქტატორებს აქეთ სასამართლო მუშური,



გლებური, ფალსური, რომ მათი სისხლიანი ხელები აკონტრავოლუციონერთაა მიზეზით არით წითლად შეღებილი.

მათ უნდა იგრძნონ მოწყალება და სამართლიანობა ჩეკის სარდავის... და ბოროტება თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიების.

მარა იგრძნობენ და დინახავენ?

სასამართლოს კარები მაგრათ ჩაეკეტია მძიმე ურდულებით, რომ იქიდგან სიმართლის შმა გარეთ არ გამოვიდეს... საბჭოთა სასამართლო გაუბრძის ხალხს. ქვეყანას, გამეღვდეს. შემთხვევით მაყურებელს, შხის სხივებს, წმინდა ქაერს: მას მხოლოდ სიბნელეში შეუძლია იხაროს. და ამ ტრიბუნალის ჯურღმულიდანაც მხოლოდ საბჭოთა სააგენტოს შეუძლია გამოიტანოს რაც მოეწონება და როგორც მოეწონება, და მიაწოდოს ევროპას, რუსეთს, თავის და უცხო ხალხს...

დაიჯერეთ მთელი ქვეყნის მუშებო, რომ იქ სამართალი სწარმოებს. შეიგნეთ, რომ იქ საბჭოთა ფემიდა დღესასწაულობს ბოროტ ადამიანებზე, ბოროტ პარტიებზე, მუშოთა მტრებზე.

იწამეთ ჩეკას ნამოქედარი—მოსკოვის ცენტურაში გატარებული.

ამ სამართალს მუშურ-გლებური ტრიბუნალი ეწოდება!

ვინ არ შეისმენს?

მარა აი დგას მდუმარე ხალხი, ქართველი მუშები და გლებები. მებრძოლი ქართველი ერი და სულგანბული შესცერის ჩაბურულ კარებს. დახუთულ კედლებს, სადაც მისი შეილება საბრალმდებლო სკამზე სხედან, ხოლო ჯალათნი, ჯაშუშნი და მკვლელი ალქაჯთა შუკამანდს აშხადებენ...

ვინც გუშინ ათასები დახვრიტა, ის დღეს მოსამართლეს მანტიაში გახვეული მოწყალებას იძლევა, ვინც გუშინ უეკდავ გმირების უდროო საფლავს თავს დანითხითებდა, დღეს გულკეთილობის მოციქულათ გვევლინება, მთელ საქართველოს გლოვის ძაბით შემოსველი, ახლა 47 შემონახულ ბრალდებულზე იჩენს ღმობიერებას... კომედიანტები! ვის უხვევენ თვალებს?

ქართველი ხალხი კარგათ იცნობს მათ ორპირობას და ფარისევლობას: თავს რომ სპრიან და თმას ფეურებთან.

და ის თახხით მოსილი მდუმარებს. მარა ეს დუმილი მწარეა და მრისხანე. შიგ ჩაქოვილია განაჩენი წარუშლელი, მკაცრი მარა სამართლიანი!

სწერეთ ჩეკის ჯალათნი! თქვენ მხოლოდ შავ-ლაქას უმატებთ თქვენ ბნელ საქმეებს. სწერეთ... ისტორიის შავ ფურცლებზე აღიბეჭდება ევ თქვენი ნაწერ-ნამოქმედარი. თქვენი ბედი გადაჭრილია და მომავალი განწირული.

ხალხი თქვენ მსხვერპლთ ამართლებს და თქვენ გასამართლებს. ერი მათ გულში იკრავს. თქვენ კი ზიზღს მოგიძღვისთ... თქვენ გასაჯეთ ბოროცი, ხოლო იდეამ გაცასჯა თქვენ. მათი საქმენი, ვინც თქვენ დასტანჯეთ. მათი ბრძოლა, ხალხთან განუყრელი. მისი გულის საიდუმლოებასთან შეთანხმებული, უკვდავია და წმინდა, როგორც თვით დამოუკიდებლობის იდეა—სისხლით განბანილი, როგორც თვით ერი. თქვენგან განაწამები!

საქართველო აღსდგება, დამოუკიდებელი, თავისუფალი!

თრთოდეთ ჯალათნი! საქმემან თქვენმან განგასამართლა თქვენ. და ერმა მას საუყუნოთ დასდო ბეყედი!

## გ ა გ ე რ ი ა

კიდევ ერთი დღეგაცია საქართველოში, ამ ეამათ ქალების და რასაკვირვლია იმავე ინგლისის ტრედუნიონებისაგან. ამ ქალბატონთ ალბათ შეუწრდათ პერსელის ევაბატონთა გვირგვინი და გასწიეს იმავე გზით, იმავე მიმართულებით და იმეორებენ მათ სიტყვებს კარგათ დახუპირებულსავით, არც საკუთარი ჭკუა, არც რაიმე ორიგინალობა, ვადაღვილის მეორეჯერ ვადაღვივა—აი ქალების მთელი სადღეგაცია ავლა-დიდება. მათ პირველ ყოვლისა მიმართეს «მთავრობას», მსგავსათ პერსელის კომპანიისა, შეკითხვით: ააჯანყების დროს ინგლისის ბურჟუაზიაში დადიოდა ხმები ათა-

სობით დახვრეტასა და დაპატიმრებაზე; ამაზე საქართველოს დერეჟიმორდას ელივის მითუგია: «ეს არ შეესაბამება საქმის ნამდვილ მდგომარეობას» (აქომ. № 137). მიიღეს რა ასეთი დიდებული «განმარტება» დამნაშავეისაგან, ქალები გახარებულან, დააწმუნებულან და ამეტყველებულან. ერთი იმათგანი, თავმჯდომარე მერი კველი აცხადებს: «მე დააწმუნდი, რომ-ის ღონისძიებანი, რომელსაც ხმარობს საქართველოს ახლანდელი მთავრობა მენშევიკების მიმართ, სავსებით სწორია» და სხვ. (იქ.). როგორც ხედავთ, მერი კველიც ისე ადვილათ რწმუნდება, როგორც პერსელ-ბრომლევი; უკეთ რომ უქვათ, ისინი უკვე დააწმუნებულნი შიდიან საქართველოში, იმეორებენ იმას, რასაც გზადაგზა ყურში ჩახჩინებენ მაკდონელეები და ბოლშევიკები და თფილისში მხოლოდ თამაშობენ საჯაროთ კულისებში გათამაშებულ აქტს.

ერთი სიტყვით, მეორდება ახლა იგივე სცენა, იგივე კომედია, იგივე სტატისტები და კლაკიორები, რაც პერსელის დელეგაციის დროს დაეინახეთ. ამის შემხედვარე ქართველობა ალბათ განცვიფრებით კითხულობს—ვინ და საიდან მოდიან ეს დაბრიყვებული ხალხიო. აი პასუხი.

ინგლისში არის ორი სოციალისტური პარტია—სოციალ-დემოკრატიული და დამოუკიდებელი მუშათა პარტია. მათი რიცხვი არ აღემატება ორასათას და შედიან მუშათა პარტიაში. დანარჩენი მილიონნი წევრები ამ პარტიისა წარმოადგენენ ტრედ-უნიაონებს, პროფესიონალურ კავშირებს, თავის საკუთარი იდეოლოგიით და მისწრაფებით. ესენი არ სცნობენ მარქსიზმს, ხოლო სოციალიზმზე გვირავნი ფანტასტიური წარმოდგენა აქვთ. პირველ ყოვლისა ისინი უარს ყოფენ კლასთა ბრძოლის თეორიას. პირველათ ჰამბურგის ინტერნაციონალურ კონგრესზე დიდი კამათის და ჯიუტობის შემდეგ მათი წარმომადგენელნი დათანხმდნენ იმ სტატუტს, რომლის ერთი მუხლი კლასთა ბრძოლას აღიარებს.

აი ამ ანტიმარქსისტულ მუშათა ჯგუფებში გააბებს კავშირი ბოლშევიკებმა, გამონახეს ყველაზე უფრო დაბნეულნი და ამოთგან ააწყვეს დელეგაციები თავის საქმეების საიდუმლოთ. და ესენიც ადიდებენ მათ, მხოლოდ ერთი შესწორებით. პერსელი სწერს, რომ ბოლშევიკში ჩვენთვის, ინგლისისათვის, მიუღებელია, მისგან დაგვიფაროს ღმერთმა, ხოლო საქართველოში და რუსეთში ის ჩინებული რამ არის და იქ დღევრბული იყოსო. სწორეთ ისე, როგორც მონობის მოტრფილენი ამბობდნენ—ჩვენში, განათლებულ ვეროპაში, მონობა ღმერთმა დასწყველოს, ხოლო იქ, ველურ აფრიკაში და ამერიკაში ის ნანატრია დაწესებულებაო. პერსელის ამქარის ამ ფსიხოლოგიას დღემდე ვერ ვაშორდენ, ორმაგ პოლიტიკურ ბუხპალტერიას თავი ვერ დააღწიეს, უპრინციპობა ხელობათ გაიხადეს. და ასეთი სამკაულით აღუქრვილნი მობრძანდებიან ჩვენში. და თავმომწონეთ გვირჩვენ—ბოლშევიკური მონობა თქვენისთანა ველურებისათვის ზედამოქრბილია!

როგორც ხედავთ, ამ ვებატონთ და ქაღობატონთ სოციალიზმის არაფერი არ სცნობა, მარქსისტული წარმოდგენა მათთვის უცნობი ხილია, პოლიტიკური სტაქი პრიმიტიული აქვთ. როგორც კი ისინი ამ მოსამზადებულ კლასიდან სოციალიზმის პირველ კლასში მაინც გადავლენ და მის ძირითად პრინციპებს შეითვისებენ, ბოლშევიკობას თავს დააღწევენ. მანამდე კი ტრედუნიაონური ბუხპალტერია ითამაშებს მხოლოდ ბალასტის როლს სოციალისტურ მოძრაობაში, ხოლო ჩვენში რამდენიმე გზა-დაბნეულთ კიდევ უფრო გზას დაუბნევენ.

ამ დაბნეული გზის მოყვარულნი განაგრძობენ თავის დაბნეულობას, ზოგი პირადი ინტერესით, ზოგი სიბრყვით. ეს ერთი ხანია კომუნისტურ პრესაში დავაა თემის ბიუჯეტის შესახებ: დიდი თავგამოდებით უმტკიცებენ კომუნისტებს არა-კომუნისტები, რომ თემს ბიუჯეტი ეკიერებაო! ესენი კი ამას «სადისკუსიოთ» აცხადებენ. აღინდაც. თემის ბიუჯეტი ვის გაუგონია, როცა თვით საქართველოს არ აქვს ბიუჯეტი, ფინანსიური უფლებები. თვეში თავიდან აყრულდებაო ნათქვამია. როცა საქართველოს აყარეს ყოველგვ უფლებები, თემს ვინ დაუტოვებდა რაიმე უფლებას? ან შეიძლება გზადაბნეულნი იბრძვიან იმ თემისათვის, რომლისთვისაც ლიდერალები იბრძოდნენ თვითმპყრობელობის დროს? მაშინაც ხომ ბევრს სწერდენ ვალდების საბიუჯეტო უფლებებზე ურიადნიის მათარაბს ქვეშ. შეიძლება ახლა ამაზე შორს აღარ მიდის მათი იდეალი? ბიუჯეტი ნიშნავს თავისუფლებას, გადასახადის აკრფის და მ-ხმარის

უფლებას. ასეთი უფლება დღეს აქვს მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას და მის ამოვლით სხვა და სხვა დაწესებულებაში მოკალათებულთ და ესეც მხოლოდ რუსის ბოლშევიკურ პარტიას, სხვა კომუნისტური, უკაცრავთ პასუხია, პარტია მისი ლაქიებია, განსაკუთრებით ქართველი კომუნისტები. ამ საყოველთაო უფლებობაში და მონობაში თემის უფლებებზე მალა მყერალბობენ! ალბათ ეს ნებადართულია. თორემ ეს უნებარი რაინდები აქაც პირში წყალს დაიგუბებდენ. ისინი ვერ ხედავენ მჭიდრო კავშირს საბჭოთა წყობილების ყველა ნაწილებისა. აქ ერთი სიდუხჭირე იწვევს მეორეს, მეორე მესამეს და ასე ბოლომდე. ეს მთელი შენობაა, მსგავსათ ძველი რევიმისა. მისი შიგნიდან «პაჩინკა» ნაცარ-ქექიათა გამოგონილია. ის უნდა დაინგრას რომ ყველა უფლება აღდგეს. ამიტომ ბრძოლას თემის უფლებებისათვის აქვს აზრი მხოლოდ საერთო ბრძოლაში საქართველოს ერის სუვერენობისათვის. ნაცარ-ქექია კი მხოლოდ ნაცარს ხედავს და ვერ ამჩნევს იმ დიდ შენობას, რომლის ერთ კუნძულში ის იქეჭება.

ეს შენობა თვით საბჭოთა წყობილება. კომუნისტები განაგებ მას ხელს აფარებენ და კოლო-ბუზებისაკენ აპყრობენ ხალხის ყურადღებას. აი მთელი კომუნისტური პრესა ჯვაროსანთა ომს ქადაგებს თემში მოკალათებულ «ბოროტი ელემენტების» წინააღმდეგ. რომელიც თორმე სახელს უტეხენ «მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას». ამათ დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს პარტია, ინსპექცია, პროკურატურა, პრესა. თვით ხალხი («კომ.» № 132). და მიუხედავად ამისა ეს ელემენტები დღეგრძელობენ. რაშია საქმე რაშია და სულ უბრალო ამოცანაში—თემის «ბოროტი ელემენტების» სათავე მაზრის, გუბერნიის, საქართველოს და მოსკოვის «ბოროტი ელემენტები» გახლავან. ისინი აი ამათი გაგრძელებაა, ამათი ღვიძლი შვილია. თემში ის მიითვისებს რაღაც ორიოდ გროსს, ხოლო მალა ისინი ითვისებენ მილიონებს და სურვილისამებრ ხარჯავენ. ის საბჭოთა უკობი, სადაც არ არის თავისუფლება პრესის და კრების, არ არის ხალხის სუვერენიტეტი და კონტროლი, სადაც თვითნებობა კანონათ არის აღიარებული, რა იქნება თუ არა დაუშურტელი წყარო ყოველგვარი ბოროტების. მოიპარე ერთი მანეთი და ციხეში ამოყურ თავს, მოიპარე მილიონები და მართველათ დაგაყენებენ—ეს ძველი თქმულება საბჭოთა ურთიერთობის სრული გამოხატულებაა. ბოლშევიკები აი ამ მთავარი ბოროტებისაგან სასოგადოების ყურადღებას აწორებენ და მისი რეგულაციები მიუთითებენ—დაკაბთ მაგათ, აი საიდან შადის მთელი უბედურება. აჩვენ ისევ და ისევ გვიხდება ლაპარაკი საბჭოთა ქვედა აპარატის პირადი შემადგენლობის გადაშიჯვნაზე. პატიოსანი მუშაკების მიწოდებაზე სოფლისათვის, უბედობენ ისინი («კომ.» № 142). ნამდვილათ კი საბჭოთა ქვედა აპარატის გადასინჯვა მოითხოვს საბჭოთა ზედა აპარატის აგდასინჯვას», მთელ ამ ნაგავის შორს გადათრევას. ხალხის და ერის ბატონობის აღდგენას და მაშინ «ბოროტი ელემენტები» სათანადო სასჯელს მიიღებენ. ღვრია წყალი სათავანში უნდა გაიწმინდოს. ეს კი არ არის ბოლშევიკებისათვის საბჭოთა ოპერაცია; სათავანში თვითონ ყვინთაობენ, ღვრია წყალში სარდიანათ თევზაობენ და როცა მათ ხელიდან წვრილი თევზი გაუსხლტება და ბოლოში ვიღაცებს ხელში უვარდება—ისინი ყვირიან. «ბოროტი ელემენტები» მეშაობას არ გვანებებენო! «პატიოსან მუშაკს» სოფელი თვითონ გზოვის, ოღონდ მოშორდენ მისი ძალით მაკბონენი, მისი მტარვალნი და მტარცველნი.

რენეკატები ამ მთავარ ბოროტებას ბანზე ადებენ და განაგრძობენ თავის საქებათ ხელობას—ბოლშევიკების აპლატფორმაზე დადგომას და მისი ნაცრის ქექას.

ეს ნაცარ-ქექიობა მათ გამოიტანეს პოლიტიკის უკანასკნელ სიტყვათ და მას «ახალი საქართველო» დაარქვეს! ბ-ნი ეშაპელი გახდა მთავარი მქექავი და თავის დაბლისაკენ იწოდებს გამველ-გამომველთ. რით ვაპრობს ეს ვეებატონი? სად აღმოჩინა მან «ახალი საქართველო»? საქართველო ჩეკისტების და დერეჟიმორდების, საქართველო უფლება აყრილი და წელში გატეხილი—რით არის ის ახალი? ასეთი საქართველო ძელია, მეტათ ძელია—ის ასეთი იყო სპარსთა უღლის ქვეშ, ასეთი იყო სხვა და სხვა ველურ ურდოების შემოსევის დროს. ბოლშევიკური საქართველო—ეს იგივე ნიკოლოზის, ალიხანაელების და კრილოვების საქართველოა. ახალი საქართველო მხოლოდ და მხოლოდ საქართველო 26 მაისის. აი ამ ნამდვილ ახალ საქართველოს ეს ნაცარ-ქექიები სცვლიან სრალნი-ორჯონიკიძის საქართველოზე! ვის აბრიყებენ? ხალხს,



კიდევ უფრო სამარცხენია ამ ვებატონთა საქციელი მეორე მხრივ. ისინი ელპარაკებოდნენ ბოლშევიკებს, ცდილობდნენ მათგან ღალატისათვის შესაფერ ჯილდოს მიღებას და ამავე დროს ვსწრებოდნენ პარტიის კრებებს და იქ ყოველგვარ ცნობების მიცემას თხოულობდნენ. რისთვის? ასეთია ამ ვებატონთა საქმენი საგმირონი.

მაგრამ აჩქარებულან. საქართველოს დროებითი წაფორზილება საბჭოთა რუსეთის მუდმივ გამარჯვებათ დაუსახავთ, ბოლშევიკების ყვირილი—გაემარჯდითო, სინამდვილეთ წარმოუდგენიათ და აი გამარჯვებულთა სუფრას უსხდებიან, ჩვენც გვაქამეთო. ესმაჰამას მეტათ შესარგუსა მათ რასაკვირველია არ მოაკლებენ, მაგრამ ქართველი ხალხის მსჯავრს სად გაექცევიან?

### ბ. ბ. აქსელროდის იუბილე.

25 აგვისტოს პავლე ბოჩისის ძე აქსელროდის იუბილეა. მოხუც ბელადს 75 წელი უსრულდება. მთელი ეს ხანა ამ დიდმა ადამიანმა მუშათა საქმეს მოანდომა. ნაროდნიკული მოძრაობის მონაწილე, იგი შემდეგ მარქსიზმის მიმდევარი გახდა და 1881 წელს გ. პლენხანოვთან. დეიხთან, და ვერა ზასულირთან ერთათ დაარსა „უცვლელი სრომის განთავისუფლების“. რომელიც პირველი ჩანასახი იყო სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის. მას აქეთ აქსელროდი, ნამდვილი იდეური ბელადია რუსეთის ს.დემ. მუშათა მოძრაობის. ქართველი მუშები კარგათ იცნობენ მის სახელს. არა ერთხელ აურჩევიათ იგი თავის წარმომადგენლათ საერთო ყრილობაზე. ირჩევიდნენ იმიტომ, რომ გრძობდნენ მის ნაჩვენებ გზის, მისი ტაქტიკის. მისი აზრის და შეხედულების სისწორეს და საარგებლიანობას.

და მართლაც აქსელროდი იშვიითი ტაქტიკისა: მუშათა მოძრაობის ინტერესების საუკეთესო გამთვალისწინებელი. მისი მორიგი ამოცანების სწორათ გამოძენობი. ყოველი ახალი გზის და მიმდინარეობის უტყუარი შემფასებელი—აი ასეთია თავის არსებით ბ. ბ. აქსელროდი. თითქმის მუდამ ემიგრაციაში მყოფი, ის მაინც ისე შეეთვისა და შეეხისხლხორკა რუსის და მასთან ერთად საქართველოს მუშათა მოძრაობასაც, როგორც არაინ. იგი ჩვენ ქართველ მუშათა მოძრაობის გულის ისეთივე მე; საიდუმლო აღმოჩნდა, როგორც რუსეთის. დამოუკიდებელი საქართველო მან უცოყმანათ მიიღო. იცნო. შეიგნო მისი საქირაება. აუცილებლობა... ბოლშევიზმის სიველურე და ახიელობა მან იმ თავითვე დაგმო, ხოლო როგორც მუშათა გამბრწენი და მასში გათასირების შემტანი—იმ თავითვე—ჯერ კიდევ 1905 წლის შემდეგ დაასურათახა ვასაოცარის წინასწარმეტყველურის სისწორით.

მოკლე წერილში შეუძლებელია სავეებით დახასიათება. ამ დაულალავი წრფელი, მუშათა მოსიყვარულე, გონება გამჭრიახი. დიდ-ბუნებოვანი, საყვარელი ადამიანის. ჩვენ ვუძღვნით მას გულთათ სალამს. წრფელ სურვილს კიდევ ხანგრძლივ მოღვაწეობისა მუშათა კლასის საყეთალდელოთ.

იკოცხლეთ მრავალ-კამიერ პატრიარქო სოციალ-დემოკრატიის!

### ერთი ახირებელი განმარტების გამო.

გახეთ «სამშობლოსათვის» პირველ ნომერში ბ. სპ. კედიამ ისეთი ბრალდებები წამოიხროლა კერძოთ ნ. ყორდანის და საერთოთ სოც.-დემ. პარტიის წინააღმდეგ, რომელნიც პარტიათა პოლიტიკურ თანამშრომლობის ელემენტარულ წესებს ეწინააღმდეგება. მან, როგორც ვიკით. ნ. ყორდანის, და საერთოთ სოც.-დემ. პარტიას ბოლშევიზმთან შერიგებისაკენ სიარული დასწამა.

ეს იყო ფრონტის უეჭველი გარღვევა, რაც კიდევ აღენიშნეთ ჩვენ ყურნალში. ახლა თავის გახეთის მე-ნ ნომერში ბ-ნ სპ. კედიას თითონ უგრძენია სიმძიმე მისგან შექმნილ მდგომარეობის და ერთი შეხედვით სცდილობს კიდევ თავის გაუუქებულ საქმის გამოსწორებას. ნამდვილათ კი მას ერთი-ორათ აუარესებს.

მარა მოვისმინოთ ჯერ თვით განმარტება.

ბ. სპ. კედია სწერს:

«გაზეთის «სამშობლოსათვის» პირველ ნომერში მე შევეხე ბ-ნ. ჯორდანიას «რა მოხდა»-ს და მეორე ინტერნაციონალის სამბურგის რეზოლუციას, რომელსაც იგი ხელს აწერს. იმ აზრებში, რომელიც ამოღებული ადგილების გარჩევის დროს განვითარა, ზოგს ის დაუნახავს, რაც არ იყო. დინტერესებული ვარ სწორათ ვიყო ვაგებულში.

მე არ მითქვამს ისე, მოწყვეტით და ex abrupto, რაიმე განსაზღვრული ფაქტის მიხედვით, ბ-ნმა ნ. ჯორდანიამ ბრძოლაზე ხელი აიღო და ბოლშევიკებთან შერიგების გზას დაადგა—მეთქი. ამის ფაქტი მე არ მქონია და არც ასეთი ბრალდება გამომიტყვამს.

მე მხოლოდ განვმარტე ამ ორი დასახელებული წყაროს განსაზღვრული ადგილები და პრეტენციის სახით ისა ვსთქვი, რასაც მათი ანალიზი მაძლევდა.—სახელდობრ და მოკლეთ: რომ შეუძლებელია ერთის ხელით ბრძოლა ეწარმოვოთ, როგორც ჩვენ ამას ვშვებებით და მეორეს ხელით მტრის გამაგრების რეზოლიუციას ხელი მოვაწეროთ, როგორც ეს ბ-ნმა ნ. ჯორდანიამ ჩაიდინა; რომ ბ-ნ ჯორდანიას ახალი ტაქტიკა, რომელიც თავის «რა მოხდა»-ში მოგვცა, ეს იყო ეროვნული დოქტრინისა და ტაქტიკის უარყოფა და იმ სამშობლოს იდეის მიჩქმალვა, რომლის დროშის ქვეშ დღემდე იდგა და იბრძოდა ქართველი ერი და რომ ამ გზით უფრო ბოლშევიზმის შერიგება შეიძლებოდა და არა მისი დამარცხება.

თუ საქართველო ამ ტაქტიკას დაადგა და იმ დოქტრინით გაიშქვალა, რომელმაც იგი წარმოშვა, მაშინ ვნახათ ჩემს პრეტენციას მომავალი რა პასუხს გასცემს».

როგორც მკითხველი თვით დაინახავს ამ განმარტებიდან, აქ ორი ხელი ტრიალებს, ორი სული ბორჯავს: პირველი შლის იმას, რაც ითქვა პიროვნების შესახებ. ბ-ნმა კედია კეთილი ინება განეცხადებინა, რომ «რაიმე განსაზღვრული ფაქტის მიხედვით», ნ. ჯორდანიას მებრძოლთა რიგებიდან ამორიცხვას არ უპირებს.

ეს ყოველ შემთხვევაში უფრო გონიერი ნაბიჯია, წამხდარის გამოსწორების ცდა.

მარა აქ მუშაობას იწყებს ბ-ნ სპ. კედიას მეორე ხელი, და ანგრევს იმას, რაც პირველმა გააკეთა.

მისი მბორჯავი სული ვერ ურიგდება მოწინააღმდეგის უსაფუძვლო და ყოველად დაეშვებულ ბრალდების სიმძიმედან განთავისუფლებას. ამიტომ იგი ახლა პარტიას მიდგა, მის დოქტრინას და პოლიტიკურ ხაზს დასწამა ის, რისგანაც ნ. ჯორდანიას პირადად განთავისუფლა.

მისი პრეტენციით «დასახელებულ ორი წყაროს განსაზღვრული ადგილები» მოწმობენ, რომ ბოლშევიზმთან თავის დასაყრავათ მიიმართება თვით სოც.-დემ. პარტია. ასეთი ყოფილა ის თავის არსებით, ბუნებით, მოძღვრებით, პოლიტიკით.

რას ნიშნავს ეს? სიბრძავეს თუ გაბოროტებას?

მართალია ის გაბნეულათ. პირდაპირ პარტიის დასახელებას ერიდება. მარა განა მან არ იცის, რომ სწორეთ ის ადგილები, რომლებზედაც ის აფუძნებს თავის კრიმინალურ პრეტენციას. მთელი სოც.-დემ. პარტიისთვის სრულიად უდაო და უცილო ქვეშაობრტებას წარმოადგენს?

ჩვენი პარტიის 30 წლის მოღვაწეობა ქართველი ხალხის მეთაურის როლში. ბრძოლა ჯერ ცარიზმის და შემდეგ ბოლშევიკური სატრაპიის წინააღმდეგ—ეს იმდენათ დიადი და ხმაშალა მღალადებელი მოვლენაა, ხოლო მისი დაფასება, ხალხის ფართო მასების ურყევი ნდობით გამოხატული, იმდენათ უდაოა, რომ მას მეტი საბუთები არ ესაქობრება. ბ. სპ. კედიას მიერ აუგათ ხსენებით და დაწუნებით მას ფრჩხილის ოდენი ზიანიც არ მიადგება.

და რომ საქმე მხოლოდ პარტიას ენებოდეს, ჩვენ ამაზე კრინტასაც არ დაეკრავდით, მარა აქ დგება საკითხი საერთო ფრონტის, საერთო ბრძოლის, ძალთა კოორდინაციის. ე. ი. საკითხი მთელი ერის, როგორც ასეთის.

ბ-ნ სპ. კედია თავის გამოსვლით აი ამ ერთობას უთხრის ძირს, უნგრევს საფუძველს, შეუძლებლათ ხდის თვით მის არსებობას, და ახლა ისმება საკითხი. ასეთ შედეგ-





გების გამოწვევა სურდა ბ-ნ კედიას ან იმ პარტიას, რომელსაც ის საერთო ფრონტის რიგებში წარმოადგენს? თუ სურდა, უნდა ითქვას.

თუ არ სურდა, ესეც უნდა ნათელი გახდეს, და მაშინ ასეთი მიდგომა პარტიის-რწმენისა და პოლიტიკისადმი, როგორც ბ-ნმა კედიამ იჩინა, უნდა ერთხელ და სამუდამოდ ამოიკვეთოს, ხოლო ჩადენილი უნდა გასწორდეს. ან ჩვენ გვაქვს მართლა რწმენა, რომ პარტია ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებს, აქეთვე მისწრაფის და მას ეიღებო; ან არ გვწაშს და მას უკუევაგდებთ. სხვა გზა არ არის.

საერთო ფრონტზე სარწმუნოებრივი ღალადისი არ კმარა მის გასამაგრებლათ. საქორთა ერის ძალთა და მიზნინარეობათა პატიოსნური დაფასება. ჩვენ არ ვებრძვით პოლემიკას, ახრთა შეჯახებას, მარა უარყოფით და ვგმობთ ასეთ ბრძოლის მეთოდებს, ასეთ უხამს ბრალდებებს, გამთიშველს, დამრღვეველს.

უსაფუძვლო ბრალდებებით და დაუშვებელი პრეტენზიების წამოყენებით ვნება მოუვა არა პარტიას, არამედ საქართველოს. რომლის სახელს ასე ამართ ფიცულობს ყოველ ენის მომბრუნებაზე ბ. სპ. კედია, ვნება მოუვა იმ საერთო საქმეს, რომელსაც დღეს სოც.-დემ. პარტია მეთაურობს და რომელსაც ბ. სპ. კედია ემსახურება.

ეს კარგათ უნდა ესმოდეს თვით ბ-ნ სპ. კედიას. და თუ ესმის, მაშინ უნდა ეიკითხოს, ვის საქმეს ემსახურება ნებისთი თუ უნებლიეთ ეს მისი პატრიოტული გამოცვლები? ჩვენი ქვეყნის, თუ მისი მოწინააღმდეგეების?

და ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთ მდგომარეობას უნდა მოვდოს ბოლო, თუ საერთო ფრონტი სერიოზულათ გვაინტერესებს.

ან პო, ან არა! მიკიბ-მოკიბულება აქ დაუშვებელია.

### კლემუნტიზმი ეკრმანიაში. (წერილი ბერლინიდან)

მოსკოვის კომისართა საგარეო პოლიტიკას ორი სახელმძღვანელო ამოცანა აქვს: პირველია მოწყობა აჯანყებების და ბუნტების, რომელთა ძალით ჩაქრობამ თავისთავათ უნდა გამოიწვიოს მასხარის გარეეოლიუციონერება, პოლიტიკური მდგომარეობის გამწვანება მსოფლიოში და ასე მოახლოვება საყოველთაო რევოლუციის, რომელიც მოწოდებულია კრემლის ბატონობა განამტკიცოს მთელ დედამიწაზე; მეორე ამოცანა, ბოლშევიზმის უსახლგრო ოპორტუნისტული და ვაქრუქანული გადაგვარების შესაფერი, იმაში მდგომარეობს, რომ დანგრეულ და აწიოვებულ რუსეთის გარეშე იმოწონონ ამ ხელისუფლების საბატონო საშუალება—ფული, პური, მანქანები და იარაღი.

ორივე ამ ამოცანის განსახორციელებლათ საბჭოთა პოლიტიკოსებს უპირველეს ყოვლისა ბერლინისკენ უქირაეთ თვალი. იქ არის მთავარი ბერკეტი როგორც კომინტერნის, ისე საგარეო კომისარის პოლიტიკის. მსოფლიო რევოლუციის პოლიტიკა მიდის ბერლინით, ვინაიდან გერმანია ომიდან დამარცხებული გამოვიდა, ეკონომიურათ დაუძლურებულა, ხალხის მასსაში უკმაყოფილება დაგრავილია, ხოლო გაბატონებული კლასები აქამდე ვერ შერიგებიან ძველი "ბედნიერი დროის" უპირატესობათა ხელიდან გამოცლას.

კომინტერნმა დიდი ზანია გადაწყვიტა, რომ აქ საუკეთესო რევოლუციური სიტუაციაა, ვინემ სადმე სხვაგან მსოფლიოში, და მიზნათ დაისახა საბჭოთა ხელისუფლების სახლრების რეინამდე გაფართოვება.

ამოცანა, როგორც ხედავთ გრანდიოზულია: მისი განხორციელება რომ შეიძლებაოდეს, მთელი დედამიწა მართლაც სულ სხვა სახეს მიიღებდა და კაცობრიობის ისტორია შეტრიალდებოდა. ამაზე ღირს მუშაობა და თავის შეწუხება!

მარა ამავე დროს გერმანია პოხიერ ნიადაგათ მიანია თავის მუშაობისთვის საგარეო საქმეთა კომისარიატსაც. მართალია- თვით გერმანიისაგან დიდ საჩვენლობას არ ელიან მისი აგენტები, რომელთა მიზანი ევროპაში ფულის შოვნაა და რუსეთში კონცესიონერების შემოტყუილება. მარა გერმანიასთან დაახლოვება მათთვის მინც მოხერხებული ფანდია, საშუალებაა ანტანტაზე ძალის დასატანებლათ. და ეს საშუა-

ლება მით უფრო იოლათ უფარდებათ ხელში, რომ გერმანიაშიც საკმაოდ მოიქცევიან ბიან ისეთი პოლიტიკოსები, რომელნიც ეერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკებთან დაახლოების საფრთხეს იშვევლიებენ.

ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ბერლინში თავმოყრილია საბჭოთა რუსეთის უდიდესი ორგანიზაციები. კომუნისტურ პრაპაგანდაზე იხარჯება მილიონი დოლარები. შექმნილია მთელი რიგი გამომცემლობების, ეურნალების, საზოგადოებების, დაწესებულებების, გაბმულია კავშირი ყველგან და ყველასთან, არა თუ პოლიტიკურ, არამედ თვით მეცნიერულ, მხატვრულ და ლიტერატურულ წრეებშიაც კი.

მოსკოვი გულუხვად უზაინის საჩუქრებს გერმანულ მეცნიერებს—ენივერსიტეტების მისამართით. ამავე დროს კონცესიებს ურიგებს გავლენიან მრეწველებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომელნიც კი ასეთ საჩუქრის მიღებას არ ითაკილებენ.

ყველა ეს მუშაობა, ნააურობა, ქადაგება, რა თქმა უნდა, უშედეგოთ არ დარჩებოდა.

1921 წელსი საბოლოოთ გამოეთიშა სოც.-დემ. პარტიას და ჩამოყალიბდა გერმანიის კომუნისტური პარტია. კომუნისტებმა მოახერხეს ხელში ჩაგდება არა ერთი მსხვილი პროფ. კავშირის, 7 ნახევარი მილიონი შეკავშირებული მუშებიდან მათ რიგებში მოხვდა 2 მილიონამდე მუშა. და მათი გაელენა თანდათან იხრდებოდა, რასაც ხელი შეუწყო გერმანიის სოც.-დემ. მემარცხენე ფრთის (დამოუკიდებლები) ზოგირითელი ილიუზიებმა ბოლშევიზმის რევოლუციურ ბუნების შესახებ. 1922 წელსი ბოლშევიკები 2 ნახევარი მილიონ მიმდევარ მუშებს ითელიდენ თავის რიგებში, და თუმცა სოც.-დემ. უარყოფდენ ამ ციფრს, მაგრამ არა გვეგონია, იგი დიდათ გადაჭარბებული ყოფილიყოს. ბოლშევიკები ამ დროს ისე ძლიერათ გრძნობდენ თავს, რომ უკვე ძველი პროფ. ორგანიზაციების შენგრევას და პარალელური—მოსკოვის მორჩილი ორგანიზაციების დაარსების ტაქტიკისაკენ იხრებოდენ.

განვითარების უმაღლეს წერტილს კომუნისტურმა მოძრაობამ მიაღწია გერმანიაში 1923 წელს, რურის ოკუპაციის და უზომო ინფლიაციის ხანაში. გერმანია სიგიჟის დღეებს განიცდიდა. ერთი მხრით უმაგალითო გაძლიერება შოვინისტურ სელის-კვეთების, მეორე მხრით დღითი დღე მატება ფინანსური ხაოსის, მარჯის საშინელი დაცემა, გაკვირვების ზრდა ქვეით და საბჭოლიაციის თარეში ზევით, საერთო უკმაყოფილება ყველგან, მშრომელთა მასსებში—ასეთი იყო დანდმარეობა.

სოციალ-დემოკრატია მოითხოვდა ამ დღეებში ანტანტასთან შეთანხმებას, ვალიუტის სტაბილიზაციას, ენერგიულ ფინანსურ რეფორმებს. ამ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ მუშაობდა სტიქია რურის ოკუპაციით გაღიზიანებული ნაციონალისტის. ბოლშევიკებმა თავის მიზნებისთვის ხელსაყრელათ ჩასთვალეს ასეთი მომენტი და დაიწყეს საბედისწერო თამაში, რომელსაც სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ, გარდა „პროვოკაციის“ და „მორალატეობის“. სამხედრო დახმარების დაპირებით საფრანგეთის წინააღმდეგ და ზღაპრების გავრცელებით წითელი არმიის შესახებ, რომელიც მშათარეინის ნაპირებს მიადგესო, ისინი აძლიერებდენ გერმანიაში ნაციონალისტურ ავანტიურისტებს და ამავე დროს თვითონაც ამზადებდენ „გამოსვლებს“. გადამწყვეტი აჯანყების დღე დანიშნეს კიდევ ნოემბრისთვის.

სულღი სურათი ბოლშევიკების ამ მაკიაველური პოლიტიკის ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. მარა უკვე ცნობილია, რომ მათ მოლაპარაკება ქონდათ გერმანიის მონარქისტულ რეაქციის პარტიებთან. ცნობილია, რომ კომინტერნი გმირათ და თავისუფლებისთვის დიდ მებრძოლათ აცხადებდა საერთაშორისო ავანტიურისტს და პოლიტიკის ავენტს შლაგეტერს, რომელიც შავრახშულ ორგანიზაციების დავალებით ახდენდა ტერორისტულ აქტებს რურში. ცნობილია, რომ კომინტერნი პირობას სდებდა გერმანულ რეაქციონურ ლენერლებთან შინ რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ და გარეთ საფრანგეთთან ომის მოსამზადებლათ.

ეს პროვოკაცია, რომლის წინაშე ახეფის პროვოკატორობა ბავშვურ გართობათ გეჩვენებთ, არ განხორციელდა. მუშათა მასსები არ გაყვენ კრემლის წაქეზებლებს. „გამოსვლა“ არ მოხდა.

აქედან დაწყებული გერმანიის კომუნისტნი გამუდმებულ კრიზისის ხანაში იმყოფება. 1923 წ. დაძლეს გერმანიის პოლიტიკაში გადატება მოხდა. საერთო ფრონტზე გაიმარჯვეს საფრანგეთთან შერიგების მომხრეებმა. შიგნით ბოლო მოუღეს ინფლიაციის ქაღალდის ფულის უსახურო გამოცემას), გატარებულ იქნა ფინანსური რე-



ფორმები, რომელთაც სიმშვიდრე შეიტანეს სახელმწიფოს ვალიუტის მდგომარეობაში.

ამრიგად «რევოლუციური სიტუაცია» მოიშალა. კორიზონტი რამდენიმე გადაიწმინდა.

მარა ამავე დროს დაიწყო გააფთვებული კამპანია რეაქციონერებისა მუშათა კლასის და დემოკრატიის წინააღმდეგ. როგორც კეონომიურ, ისე პოლიტიკურ ფრონტზე.

ასეთ პირობებში ბოლშევიკებმა შესძლეს თავის გაყლების შენარჩუნება მუშებში უკიდურესი შეურიგებელი პოზიციის აღებით საფრანგეთის წინააღმდეგ და საერთოთა ყველაფერში, რაც გაუწვრთნელ მასსას მართლა რევოლუციონერობათ ეჩვენებოდა.

1924 წლის 4 მაისს მოხდა რეისსტაგის არჩევნები. კომუნისტები თავის ძლიერების უმაღლეს წერტილზე იყვნენ ასული. და მათ მიიღეს არჩევნებში სოც.-დემ. წმის ნახევარზე მეტი. პროცენტულათ რომ გამოვთქვათ ს.-დ. მიიღეს 62 პროც.—კომუნისტებმა 38 პროც. ეს კომუნისტების დიდი გამარჯვება იყო, მით უმეტეს, რომ სოციალურ მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში მათ ნახევარი ან მეტი ხმებით მოაგროვეს მუშათა წრეში.

მარა ეს იყო უკანასკნელი გამარჯვება.

ცხოვრების მსვლელობამ მალე გამოააწვარავა მათი ნამდვილი გულისნადები და მისწრაფებანი.

დადგა მომენტი სარეპარაციო საკითხის მოგვარების ე. ი. საფრანგეთთან მორიგების. ს.-დ. და მასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელემენტები მოითხოვდნენ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პოლიტიკას, რასაც უნდა მოყოლოდა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარება და ომის მწვევე შედეგების ლიკვიდაცია. მონარქისტული რეაქციის მომხრენი თხოულობდნენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც პირდაპირ ახალ ომისავე იყო მიმართული.

ეს პოლიტიკა სამხედრო ავანტიურების დამღუპველი იყო მუშათა კლასისთვის, ხოლო მოსკოვის დიქტატორათთვის კი გამოსადეგი და ხელმოსათბობი. და აი მოსკოვის ბრძანებით გერმანელმა კომუნისტებმა მთელი თავის ძალა მოახმარეს გენ. ლიუდენდორფის და ადმირალ ტირპიციის გეგმების განხორციელებას, რომელიც საიმპერატორო გვირგვინზე შეოცნებე კაიზერისაგან მომდინარეობდა.

კომუნისტების გამაგებულმა ბრძოლამ დაუთხის პლანის წინააღმდეგ 4 მაისს შეცდნენ მუშათა არა ერთი ათასი აუხილა თვალები. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ იმავე წლის 27 დეკემბრის არჩევნებში კომუნისტების ხმების 38-დან 26 პროც.-მდე ჩამოვიდა, ხოლო სოც.-დემ. 74 პროც.-მდე აიწია.

კომუნისტებს მიიმე დრო დაუდგათ, ჯათ ახლა მოისურვეს რესპუბლიკას შიგნიდან დატაკებოდნენ. ხელის შეშლა დემოკრატიული წყობილების გამაგრების, დემოკრატიულ კანონმდებლობის; დემოკრატიულ მთავრობის შედგენის. ერთი სიტყვით სახელის გატეხა რესპუბლიკის, პარლამენტის, საყოველთაო არჩევნების, საერთოდ დემოკრატიული იდეის, გაღვივება უკმაყოფილების და ნაციონალისტურ ინსტიქტების. ერთი სიტყვით გაქრობა საგარეო და საშინაო სტაბილიზაციის იმედის—ასეთი იყო მათი პოლიტიკური ხაზი.

ეს იყო გიჟური და დამღუპველი ტაქტიკა გერმანიისა და მთელი ქვეყნის მუშების თვალსაზრისით, მარა საყვებით მისადები და მისანაშენილი მოსკოვის მართველთა ინტერესებისთვის—რადგან მათ ესპუირობათ გერმანია დანგრეული, წყარო საომარ კონფლიქტების, გამუდმებულ შემარჯვენე და შემარცხენე არეულობების. და საერთოთ საფრთხე მშვიდობიანობის.

ძალთაგანწყობილება რეისსტაგში ხელს უწყობდა ასეთ ტაქტიკის გატარებას. რესპუბლიკანური პარტიები სოც.-დემოკრატიებიანათ მეტი იყვენ რიცებით მონარქისტულ გჯუფებზე, მარა აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენდნენ. რამდენიმე ხმით ნაკლები იყვენ, ვინემ მონარქისტები და კომუნისტები ერთად აღებულნი.

მონარქისტებთან ჩუმი თანხმობით კომუნისტები დაეტაკენ რესპუბლიკელებს და ამით შეუქლებელი გაზადეს მათი მთავრობის შედგენა. მარა ამ უკიდურესთა კავშირი ვერც თვით ჩადგა მთავრობაში. რადგან მონარქისტები კომუნისტებით სარგებლობდნენ, ხოლო მათ კი ზიხლით უცქეროდნენ, როგორც მოსკოვის დაქირავებულთ.

ბოლოს კრიზისი გადაიჭრა რესპუბლიკელთა ბლოკის შემარჯვენე ფრთის, კათოლიკური ცენტრის მარჯვნივ გადახრით და ასე შემარჯვენე უმრავლესობის შედგენით. ასე წარმოიშვა დღევანდელი მთავრობა ლიუტერ-სტრეზემანის, რომელიც მონარქისტულია თავის უმრავლესობაში და წმინდა რეაქციონური შინაურ სოციალ-ევონომიურ პოლიტიკაში.

კომუნისტები პრუსიის ლანდტაგშიც შეეცადნენ ამგვარივე ტაქტიკით რესპუბლიკელთა ბლოკის დარღვევას და მონარქისტების გაბატონებას. მარა რადგან მონარქისტებთან ერთად აქ მხოლოდ 2—3 ხმის უმეტესობა ქონდათ. ეს მანიოვრი არ გავიდა. დიდი ხნის რყევის და დავის შემდეგ კრიზისი ბლოკის გამარჯვებით დათავდა. მარა თვით ეს ბრძოლა სოციალისტ ბრაუნის სამინისტროს წინააღმდეგ აშკარა ლატი იყო მუშათა და გლეხთა ინტერესების, რამაც მრავალ მათგანს აუხილა თვალები.

და როცა პრეზიდენტი—მუშა ებერტის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა პრეზიდენტის არჩევნები, კომუნისტებმა სოც.-დემ. შედარებით კიდევ უფრო მკითრე ხმა მიიღეს სულ 19 პროც. 81 პროცენტის წინააღმდეგ.

მარა ზელმეორე არჩევნების დროს მათ მოახერხეს ის, რომ რესპუბლიკელთა კანდიდატზე თავის კანდიდატის დაპირდაპირებით მას 1.800,000 ხმა ჩამოაკლეს და ასე საშუალება მისცეს ჰინდენბურგს, რეაქციონურ გენერალს, რამდენიმე ასი ათასი ხმის შედარებითი უმეტესობით გასულიყო.

კომუნისტებს ეგონათ ამით თავის საქმეს გააკეთებდნენ. მარა აქაც უმეტესნათ ბედმა. ახალი პრეზიდენტი სამხედრო ავანტიურების წამოყენებას მაინც ვერ ბედავს და შინაც მონარქისტულ რესტავრაციაზე აქამდე ფრთხილზე-ფრთხილათ არის; მას აქ ხელს უშლის ისიც, რომ საიმპერიო მთავრობაში არა მონარქისტები ურევიათ. და უფრო კიდევ ის, რომ პრუსიის სამინისტროს სათავეში ისევ სოც.-დემ. ბრაუნი მოექცა.

სამაგიეროდ ჰინდენბურგის გაპრეზიდენტებამ ნაყოფი გამოიღო საშინაო პოლიტიკაში: ეკონომიურს და ფინანსიურ სფეროში. აგრარობმა და მსხვილმა მრეწველებმა შავრათ მოუქირეს გადასახადების მუხრუტს, აწესებენ პირდაპირ ხალხის გამსარკველ ბაეებს პურზე, ზორზე, ქსოვილებზე, გაძვირდა ბინები, ერთი სიტყვით ათკეცი ტყავი სძვრება ისედაც ომით გაძვალტყავებულ მშრომელ მასსებს.

გერმანიის მუშათა კლასი კვლავ დიდ გაჭირვებაში ჩაეარდა, მარა ამ უკანასკნელ ამბებმა სამაგიეროდ სწორი კლასიური შეგნების სხვიით გააშუქეს მუშათა ის ჩამორჩენილი ფენებიც, რომელნიც დღემდე კომუნისტების უხვ დაპირებათა მსხვერპლი ხდებოდნენ.

ამით, კომუნისში, როგორც მასსიური მოძრაობა კედება გერმანიაში. მის რიგებში ჩვეულებად იქცა განხეთქილებები, რასაც ხელს უწყობს ზინოვიევის დიქტატორული ბრძანებები; ჩვეულებრივი გახდა აგრეთვე გამოფხიზლებულ მუშების და მათი დეპუტატების გაქცევა და სოც.-დემ. ბანაკში გადასვლა. მუშები ერეკებიან კომუნისტებს პროფ. კავშირებიდანაც.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰინდენბურგის არჩევნებში მიღებული ხმების ნახევარი დღეს უკვე სამუდამოდ დაკარგულია კომუნისტურ დიქტატორებისთვის.

აქედან წარმოსდგება დიდი შესფოთება და არეუ-დარევა კომუნისტთა რიგებში, რამაც მათ უკანასკნელ ყრილობაზე იჩინა თავი. რომ დაფარონ თავის უკულმართი პოლიტიკა, რომელიც რეაქციის გაბატონებას ემსახურება, ისინი გაპყვირიან, რომ აშუცდნენ, ანგარიშში მოტყუდნენ, რომ მათ ვერ გაითვალისწინეს კარგათ სიდიდე მონარქისტული საფრთხის. მარა ამ სიტყვიერი კორიანტლისთან ახლა ევლარავის მოატყუებენ. დღეს ისინი სოც.-დემოკრატიასთან საერთო ფრონტის შედგენასაც თხოულობენ, მუშათა მოძრაობის მთლიანობაზეც ხმაშალა ლაღადებენ, მარა სოც.-დემოკრატიას ყველა ამზე ერთი პასუხი აქვს: მუშათა კლასის გამყიდველებთან, რეაქციის მოკავშირეებთან, მუშათა კლასზე ტერორისტული დიქტატურის მოტრფივალე პარტიასთან საერთო არაფერი გვაქვს, გარდა ბრძოლისა საბოლოო გამარჯვებამდე.

და ამ ბრძოლაში იქედება დღითი-დღე მუშათა კლასის მტკიცე იდეური და ორგანიზაციული მთლიანობა, შეღახული მსჯავის მიმდევრებისაგან. მუშათა კლასის მთლიანობის ასეთ აღდგენასა და განმტკიცებაშია ხსნა გერმანიის პროლეტარიატის, რესპუბლიკის და ევროპის მშეიდობიანობის.

კომუნისტურ ავანტიურისტთა სრული ლევიდაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ამას კარგა დიდი დრო დასჭირდება. რამდენიმე ასეულ დათასეულ ავანტიურისტებს კონმინტერნი ერთხანს კიდევ შეინარჩუნებს ფულით, თუ მოტყუებით. შარა ის მუშათა კლასისთვის სრულიად უენებელი იქნება. გერმანიის სოც.-დემ. პარტია გამობრძანებული კლასიური ბრძოლის ცეცხლში დღეს იმედიაწათ შეყურებს მოშავალს. კომუნისტების მხრივლად კერის ჩაქრობა—მისი ნათელ-სნივოსან განთიადის წინამორბედი...

მკვებანი.

### მკვებანი და გზებზე.

ჩვენში. დასავლეთ საქართველოში მოგზაურობიდან ფილ. მახარაძე თვლიანში დაბრუნებულა და თავისი შთაბეჭდილებანი ჩვენებურ სოფლის მდგომარეობის შესახებ ვახ. აკომუნისტის თანამშრომლისთვის გაუზიარებია. ამთავარი, რამაც მიიპყრო ჩემი ყურადღებაო. ამბობს იგი, ეს არის გლეხების საერთო ნივთიერი გაჭირვება... არ არის სკოლები. სადაც არის ისინი შეკეთებას მოითხოვენ; არ არის გზები... ზოგიერთ სოფლებში არა თუ არ არის საეტლო გზა, არამედ საურმე და საცალფებო გზებიც კი დანგრეული და გაფუჭებულია... იმერეთში დღეს სიმინდის დიდი ნაკლებობაა... შარშანდელი მოსავალი საქმარისი არ აღმოჩნდა. ახალ მოსავლამდე კი 2—3 თვეა... გლეხებისთვის დიდი დახმარების გაწევა შეეძლო გლეხკომებს, მაგრამ მათი მდგომარეობა ყოველგან ვერ არის სანუგეშო... სოფლებში ნაკლებადაა საეკონომიკური ფაბრიკები და საერთოდ საეკონომიკური დახმარება» და სხვ. (აკომუნისტი № 140).

უნდა გამოვტყუდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკების და მათი მომხრეების ნაწილებში ვკითხულობდით ხოლმე, რომ საქართველო უკვე მოსარწყავ არსებით არის დასერილი და ახლა იქ იმდენი მიწა იხნება და ითესება, რისი წარმოადგენაც წინათ შეუძლებელი იყო (მაგ. 1923 წ.—1.800.000 დექტ.?)). რაც ვახეთის ყოველ ნომერში თავსდებაო და სხვა და სხვა ამბები ახალ-ახალ სკოლების გახსნის და წერა-კითხვის უკიდონარობასთან ბრძოლის შესახებ, რაც გავიკეთ, რომ უზრუნველყოფილია ავტო-გადარბენა» ლენინგრა-დ-მოსკოვ-ხარკოვო-როსტოვ-კავკა-თფილისი და სხვ. და სხვ.—ცაყის თავმჯდომარის ასეთა «შთაბეჭდილებებმა» ძალიან გაგვაკვირვა.

აღბათ ასეთ «შთაბეჭდილებებმა» იმოქმედდა და უფიქრიათ 1925—26 წლისთვის გლეხების ნაკლებად დაბეჭრა (თუმცა ეს შარშან ჩვენში მომხდარ სხვა საყურადღებო ამბების მიზეზიც უნდა იყოს). როგორც ა. ერქომაიშვილი მოგვითხრობს, შარშან ამიერ-კავკასიაზე გაწერილი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 12 მილიონი მანეთით. ახლა ამ გადასახადის შემოკლებას აპირებენ. საქმე ისაა, რომ, როგორც ა. ერქომაიშვილი სწერს, ამ გადასახადის გაწერა შარშან მომხდარა «სრულიად სადათ და მართლეთ». ე. ი. გადასახადის კონტინგენტის განსახლურის დროს. დაბეჭრის ობიექტის რაოდენობას კი არ ეილებდით მხედველობაში, არამედ კაბინეტში წარმოებულ უბრალო არითმეტიკულ ანგარიშს ეყრდნობოდითო. ახლა ასეთ «მეთოდზე» ხელს ეილებთ და დაბეჭრა «დამოკიდებულია დაბეჭრის ობიექტთა სწორ არიცხვებზე და ამ განაკვეთთა მართებულ გამოყენებაზე». საინტერესოა მხოლოდ, ეს მართებელი გამოყენება და «სწორი არიცხვა» რომელ ცნობებზე იქნება დამყარებული: იმ სტატისტიკაზე, რომლის თანახმად იმდენი ითესება ჩვენში, რამდენი სახნავ-სათესი მიწაც არ მოიპოვება, თუ იმ «შთაბეჭდილებებზე», რომელსაც ფილ. მახარაძეს თავის მოგზაურობიდან გამოუტანია?

ასეთ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლათ იქნება წელსაც გლეხების «სრულიად სადათ და მართლეთ» დაბეჭრა ემჯობინებოდა!

რუსეთში. როგორც რუსეთის ვახეთები გადმოგვცემენ, მოსკოვის მთავრობა დიდ სამზადისშია მომავალ შემოდგომის და ზამთრის საეკონომიკური ოპერაციებისთვის. «ეკონომიკისკაია ეინი»-ი ანგარიშობს, რომ 1925—26 საოპერაციო წლის განმავლობაში რკინის-გზებზე უნდა გადაზიდონ 800 მილ. ფუთი პური, 994 მილ. ფუთზე მეტი მკაარი და 302 მილ. ფუთი თხელი სათფობი მასალა. ასეთ გაცხარებულ კომპანიის მოლოდინშიო, გადმოგვცემს ვახეთი, გზათა უწყება «ენერგიულათ ემზადება და განსაქუთრო»

ბულ ყურადღებას აქცევს გზების აღდგენას, რკინის-გზის სადგურების მოწყობას, წყობების აგებას-ა და სხვ. (აფკომ. ეიზნ. №1 30).

ამ განხეთის იმავე ნომერში მოთავსებული წერილი ვინმე ი. რუდიის, რომლიდანაც მკითხველი აშკარად დანახავს ამ ინერგიული მუშაობის შესანიშნავ შედეგებს. რუდიი წერს: ჩრდილო-კავკასიის რკინის-გზებს ამა წლის მეორე კვარტალში არ მიუღიათ შევეთილი ლითონის ნაწარმოების იუქნორტრესტიდან—84,8 პროც., იუგოსტალიდან—69,1 პროც. ერთი ხელშეკრულებით და 100 პროც. მეორე ხელშეკრულებით. ურალზეტიდან—57 პროც., მაშინორტრესტიდან—100 პროც., ელექტროსტალიდან—40 პროც., გოსპრომცვეტიდან—57,3 პროც., ხოლო საშუალოთ სამი ტრესტიდან—64,3 პროც. მოსკრვ-ბალტიის რკინის-გზას იმავე კვარტალის განმავლობაში არ მიუღია ურალზეტის იქორ ხავადის, ლენინგრად ტრესტის, იუგოსტალის, ელექტროსტალის, მოსმაშტრესტის და გომშხსაგან ყველა ასი პროცენტი (ე. ი. არაფერი მიუღიათ). არც სხვა რკინის-გზებზე, იმათ გარდა რომელნიც სამხრეთის და ურალის ქარხნებთან ახლო მდებარეობენ. მდგომარეობა უკეთესი არ არისო, დასძენს ავტორი. ინერგიული მზადებაცა, რასაკვირველია, ასეთი უნდა. ხოლო გამოცდილებით ვიცით, რომ ამ ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს ბოლშევიკები ორივეს თავის სასარგებლოთ გამოიყენებენ: „როსტას“ სააგენტო მხოლოდ პირველ ცნობას მოჰყენს ქვეყანას, რათა ამით ხელი შეუწყოს უცხოეთში სამბუებისთვის კრედიტის მაძიებლთ; რუდიის წერილით კი ყველა ზემოთ აღნიშნული ტრესტები ისარგებლებენ, რომ „საქმის დასაჩქარებლათ“ მთავრობას ახალი სუბსიდიები მოსთხოვონ. პირველი მიზნის მიღწევა თუ მაინც საეუვაა, მეორეს—უსათუოდ მიადწევენ.

ახალ რესპუბლიკებში. სწორ ცნობებს ახალგაზრდა რესპუბლიკების დადებით მუშაობის შესახებ ბოლშევიკების მწერლობაში ძვირათ შეხედებით. პირიქით, ბოლშევიკების პრესაში უფრო ხშირია ცნობები იმის შესახებ, რომ ამ სახელმწიფოების პუშები და გლეხები სამბუთა კაეშირს შენატრიან და დღეს თუ არა ხვალ რუსეთს აუტრანელ მდგომარეობიდან დასახსნელათ“ მიმართავენ. სინამდვილეში კი იმ დიდ ეკონომიურ კრიზისს, რომელსაც ახალგაზრდა რესპუბლიკები დასაწყისში განიცდიდენ, თანდათან თავს აღწევენ და საერთაშორისო აღებ-მიცემობაში საფუძვლიანათ არიან ჩაბმულნი. ასე, 1924 წლის განმავლობაში ამ რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა უდრდა:

	იმპორტი:	ექსპორტი:
პოლონეთის . . . . .	1.480.2 მილ. ზლ.	1.263.4 მილ. ზლ.
ხეზოსლოვაკიის . . . . .	15.862 მილ. კრ.	17.002 მილ. კრ.
ფინლიანდიის . . . . .	4.713.0 მილ. მარკის	4.965.6 მილ მარკის.
ესტონიის . . . . .	8.050 მილ. მარკის	7.866. მილ მარკის.

აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხდება მათი ფულის კურსის სტაბილიზაცია და ასე, მაგალითად, ერთი პოლ. ფრანკი (ზლოტი) იენისში უდრიდა 4 ფრანკ, ფრანკს.

**წერილი სოფ. ინტერნაციონალს პარტიტულ კომიტეტის პროცესის გამო.**

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის წარმომადგენელმა, ამხ. ირაკლი წერეთელმა, შემდეგი წერილით მიმართა, ფელისის დამლევს, სოციალისტურ ინტერნაციონალის სეკრეტარიატს და ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს: „ძვირფასო ამხანაგებო,

თფილისში სწარმოებს ამჟამათ დიდი პოლიტიკური პროცესი პარტიტულ ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა. სამართალში მიცემული 47 კაცი, რომელიც დემოკრატიულ საქართველოს ყველა პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენენ: ბრალდებულთა უდიდესი ნაწილი—შველი რევოლიუციონერებია. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრები.

როგორც წინასწარი სამხადისი ამ პროცესის, ისე პირობები, რომელშიაც ის





სწარმოებს. პირდაპირ ცინიკური და ცინება სამართლის ელემენტარულ პრინციპების, კომუნისტურ ხელისუფლების მიერ დანიშნული სამი მოსამართლე—ვაშაძე, ცინცაძე და სტურუა—სანამ ამ 47 დატყვევებულთა მოსამართლე გახდებოდნენ. თვით იყვენ მონაწილე შრავალი, ათასი კაცის გაუსამართლებლად დახოცვის, რომელთა წინააღმდეგ იგივე ბრალდება იყო წამოყენებული. რაც დღევანდელ პროცესის საგანს შეადგენს.

წინასწარ გამოძიების მსახლას წარმოადგენს ჩვენში ტანჯვა-წამებით ნახევრათ შეშლილ პირთათვის ართმეული ჩვენებები.

ბრალდებულთ არ შეუძლიათ თავისუფლათ აირჩიონ დამცველები და გამოიწვიონ მოწმეები. რადგან წინასწარ იციან, რომ თვითუფლი მათ მიერ მოწვეული დამცველი თუ მოწმე გახდება ჩვეის მსხვერპლი პროცესის მეორე დღეს. საქართველოს უხენაეს სასამართლოს კოლეგიის განკარგულებით დახიშნული, ოფიციალური დამცველები (II ივლისის «კომუნისტია») შიშით უნდა კრთოდნენ ყოველი სიტყვისათვის, რომელიც ბრალდებულთა სასარგებლოთ წამოსცდებოთ.

აი ასეთ პირობებში სწარმოებს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა გასამართლება. ბრალდების საგანს შეადგენს 1924 წლის ავგისტო-სექტემბრის აჯანყება: ეს აჯანყება წარმოადგენილია როგორც ბანდიტთა ჯგუფების გამოხვლა, ხელოვნურად გამოწვეული კომიტეტის მიერ უცხოეთიდან მიღებული ბრძანებით. მაშინ, როცა, 1924 წ. სექტემბრის შემდეგ, თვით ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს თავიანთ პრესაში ათარებელი მასალა, რომელიც წათელყოფს აჯანყების ნამდვილ ხალხურ ხასიათს. საქმარისია გავისხნოთ, რომ თვით ბოლშევიკების მიერ მიცემული აჯანყების დღეებში დახვრტილ იქნა 3000 კაცი (3 მილიონ მცხოვრებზე). ამათგან უდიდესი ნაწილი გლეხები და მუშები. ნამდვილათ კი მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. თვით სტალინმა თავის საჯარო განცხადებებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა პრესაში, და რომელთაც მიზნათ აქონდა საქართველოს აჯანყების გაკვეთილების გათვალისწინება, აღიარა, რომ ეს იყო გლეხობის აჯანყება და მოუწოდა თავის პარტიის წევრებს ყური მიპაპრონ სოფლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რათა რუსის გლეხებმა არ მიბამონ ქართველი გლეხების შავალითს.

ეს ხელს არ უშლის იმას, რომ თფილისის საბჭოთა სასამართლოს მიერ წამოყენებულ მთავარ ბრალდების საფუძელათ ედოს ისეთი აბსურდი, თითქოს საქართველოს აჯანყება გამოეწვიოს ევროპის იმპერიალისტურ ძალებს თავის კარნახით, ფინანსიური დახმარებით და მეშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის თანხმობით.

ერთ ბრალმდებელთაგანი, რესპუბლიკის მთავარი პროკურორის უფროსი თანამეშვე, ნიკოლოზ ოქუჯავა, აცხადებს თფილისის გაზ. «კომუნისტია» (8 ივ.) რომ ამ პროცესს «არ ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს შრომელთათვის», მაგრამ ის «დიდ როლს ითამაშებს, უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის... სოვეტები რომ გულწრფელათ დანტერესებული ყოფილიყვენ გამოეაშკარაებნათ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე კუშმარტება აჯანყების შესახებ, ისინი არ დახოცადნენ გაუსამართლებლათ და გამოუძიებლათ რამოდენიმე ათას სოციალისტს, რომელნიც მათ ამ აჯანყების მომწყობათ გამოაცხადეს; სოვეტები საშუალებას მისცემდნენ მათ თავისუფლ და დამოუკიდებელ საშუაჯაროს წინაშე წარდგომისას. მაგრამ, როცა, II თვის შემდეგ ამ გაუსამართლებელ ულტიდან, ინკვიზიციის საშუაჯაროს მაჯვარ სასამართლოში მიათრევენ 47 კაცს, საგანგებოთ მომარაგებულთ საერთაშორისო პროლეტარიატზე შთაბეჭდილების მოხადნენ, —ჩვენ არ შეგვიძლია არ მიეპკიოთ სოციალისტური საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებული ყურადღება გასამართლების ამ ცინიკურ პაროდიაზე, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ შურისძიების აქტს. მიმართულს წინააღმდეგ თავისუფლების მოტრფილად ერისა და პარტიის, რომელიც ერთგულია თავის ხალხის, დემოკრატიის და სოციალისმის.

### ს ა ქ ა რ თ ე ვ ე ჲ ე ს ა მ ნ ე ბ ი.

დამ. კ. მ. გასამართლება. საქართველოს ოკუპანტებმა გასულ წელს ავგისტო-უნკენისთვის აჯანყების მეთაურები და მონაწილენი, ვინც ჩვეის შურისძიებას გადაურჩა, თუ გადაარჩინეს, რიცხვით 47 კაცი, გასამართლეს ამა წლის ივლისში.

როგორც გვეჩვენებს საქართველოდან სასამართლო დახურულ კარებში წარმოებდა. მოსამართლეებათ დანიშნული იყვენ 3 კომუნისტი: გ. ვაშაძე, ცინცაძე და ე. სტურუა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ აჯანყების ჩაქრობაში. კერძოდ ე. სტურუა ჩეკისტებთან ერთად „ტყვეისმფრქვეველით“ ჩაუვარდა ტყვეთ აჯანყებულ გლეხებს თავის რაიონში.

ბრალდებულთაგან—ერთია ცნობილი სერგო ქავთარაძე, რომელიც კერძოდ დამოუკიდებლობის დროს მოუძღვოდა ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკან მოსდევდა რუს ბოლშევიკურ ბანდებს საქართველოში. როცა ის მეტეხის ციხეში მოხვდა, იქიდან ლაჩრულად ხან ერთს, ხან მეორე ჩვენს ამხანაგს ემუდარებოდა—სასჯელი თავიდან ამაკიდნეთო, მისი როლი სოვეტების მიერ საქართველოს დაპყრობაში უველამ იცის. გუშინ ის რუსეთის დიპლომატიური ჩინოვნიკი იყო ანგორაში, დღეს სრულიად რუსეთის „ვენერალ-პროკურორის“, კრილენკოს, თანაშემწეა. მეორეს—ნიკ. ოკუჯავას იურიდიული სტაჟი მიღებული ჰქვს პანკრატოვ-მოგილევისკიდან ჩეკაში, რომლის კოლეგის წევრათ ის იმყოფება თავიდანვე და ერთ დროს თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

ბრალდებულთა არ ქონდათ შეძლება არც დამცველების არჩევის, არც მოწმეების გამოწვევის. პროკურორის მხრივ კი მოწმეებათ იყვენ ორიოდუ პარტიებიდან გასული ან გადამდგირი პირები და მთელი რიგი საეკუო ღირსების ადამიანების, რომელთაგან ზოგი ცნობილი ჩეკის აგენტიცა, როგორც მაგ. ნ. ცინცაძე, რომელიც ჩეკაში მსახურებს ოფიციალურათ, დ. ურუშაძე, ყოფილი მილიციელი, ჩეკის სამსახურში იმყოფება. და ი. ჭეიშვილი, რომელსაც 1923 წ. წამებით დააწერიეს ჩვენება ს.-დ. პარტიის წინააღმდეგ და ეხლა გაამეორებინეს, ჩინოვნიკი კომუნისტი კაპარავა და სხვ.

ამ საარაკო სასამართლოს გამოუტანია კიდევ განაჩენი: ანდრონიკაშვილს, ჯავახიშვილს, ჯინორიას და იშნელს მიესაჯა დახვრევა. რაც შეცვლილ იქნა ათი წლის ციხით წინასწარი დატუსაღების ჩათვლით. გრ. ცინცაბაძეს და ნაპ. კახიანს გადაუწყვიტეს 8 წლის ციხე წინასწარი დატუსაღების ჩათვლით. ანჯაფარიძეს, იაშვილს და პირველს—5 წლის ციხე წინასწარ დატუსაღების ჩათვლით. ბახტაძეს, ნაკაშიძეს, ბერიძეს, ხურციძეს, ბელთაძეს და ხოფერიას—3 წლის ციხე წინასწარ დატუსაღების ჩათვლით. ქარცივაძე „განთავისუფლებულ იქნა ამ საქმეში პასუხისმგებლობისაგან“, ასევე ფანოზაშვილი. იშნაშვილს მიესაჯა 3 წლის ციხე პირობით ავთმყოფობის გამო. ნაცვლიშვილი გამართლეს. ივ. ლორთქიფანიძე, ბილანაშვილი, ლატარია, ფიჩხაია, ესენაჯია, თვალთვაძე, ლაშხია, გეგეჭკორი, შენგელია, გაბლიანი, კვირიკაძე, ჭანიშვილი, გოგოლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ბოკერია, ჩხაიძე, აკ. და შალვა კალანდარაშვილები, ფანცულაია, მამალაძე და იოსელიანი—განთავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან. აგრეთვე—ნინიძე, გიორგაძე, იშნაშვილი, რცხილაძე, დადიანი და ძაძაძია.

(ეს ცნობა ამოღებულია მოსკოვის „იზვესტია“-დან №177, რომელიც ესერ ბოქორიშვილს არ იხსენიებს).

გადასახლებულთა ავთმყოფობა. რუსეთიდან მოსული ცნობებით. გრ. ლორთქიფანიძე მძიმე ავთმყოფია. ძალიან დასუსტებული არიან აგრეთვე ჯიბლაძე, დგებუაძე და სხვ.

თურქესტანში გადასახლებულთაგანაც მძიმე პირობებმა ბევრი დაასწულა, როგორც იწერებთან.

### კ ა დ მ ა ვ ე ლ ტ ე მ შ ი.

კვირას 9 აგვისტოს კაფე „ვოლტერში“ ოდენის მოედანზე ბოლშევიკების აჯანყებმა დანიშნეს კრება საქართველოს მოქალაქეების „წითელი კოლონიის შესადგენათ. კრებაზე მოუსვლელობისთვის ემუქრებოდენ საბჭოთა პასპორტის გაუქმებით და საქართველოში დაბრუნების აკრძალვით.

კრებაზე მოვიდა სულ 30-მდე კაცი და ქალი. მათ შორის არა ქართველებიც, ნაშუადღევს 3 საათზე სხდომანზე გამოცხადდა 15—20-მდე ქართველი ახალგაზრდა, აღევლებული ბოლშევიკების უმსგავსო საქციელით და კრების დაშლა მოითხოვეს.



ასტყდა ჩხუბი, რომელშიაც რამდენიმე საბჭოთა აგენტი სერიოზულად დაზარალდა. გალახულია, როგორც გადმოგვცეს, გ. ვეშაპელი, ნ. მიწიშვილი, ვ. ალიხანოვი, და თ. დემეტრაშვილი და სხვ. კრება გაიფანტა. ახალგაზრდობამ «დიდება» იმღერეს და წასვლა-წამოსვლას აპირებდნენ, როცა მოვიდა პოლიცია და 19-მდე პირი დაატუსაღა. მეორე დღეს ოქმის შედგენის შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს.

როგორც გადმოგვცეს, პოლიციას ამ ამბების გამო გაჭყვება გადაუწყვეტია მიწიშვილისა და ალიხანოვის, რომელნიც პირობით იყვენ დატოვებული საფრანგეთში.

რედაქციისაგან. ცემა-ტყევა სამწუხარო მაკლენაა. მით უმეტეს როცა იგი პოლიტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული. არა სასიამოვნოა მაშინაც, როცა იგი ბოლშევიკების აგენტებთან მოუდის სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ ახალგაზრდობას. მართალია ადვილი გასაგებია აღვლევება ყოველი პატიოსანი ადამიანის ბოლშევიკების აგენტების აღიარებისნილი მოქმედებით. მაუსიდეა დამშეული ხალხის, ექსპლუატაცია ავითმყოფობის, თავის კერის სიყვარულის, მშობლების და თავის ქვეყნის ნახვის სურვილის—რომელსაც უწყვიან ბოლშევიკები რომ თავის კლანჭებში ჩაიჭირონ სულმოკლენი და შემდეგ თავისივე ქვეყნის წინააღმდეგ ამოქმედონ.—ვის არ გამოიყვანს ეს მოთმინებიდან მით უმეტეს, რომ ამ აგენტებზე სიტყვა და საბუთი ვერ გასჭრის. მარა ჩვენ მაინც უნდა გავაფრთხილოთ ყველანი ასეთი ფისიკური ვარჯიშობისაგან. ეს არ არის ჩვენი მეთაღი პოლიტიკურ ბრძოლის. ეს არ არის მიზანშეწონილი. ასეთ ზეულის მოფანისის მაგიერ ჩვენ უნდა დავეყრდნეთ თავის რიგების მუდროთ შეკავშირებას. იდეურ სიმტკიცეს, პოლიტიკურ აქტიუობას. ურთიერთის მარალურ დაზმარებას და ასე საღი ატმოსფერის შექმნას ემიგრაციაში—ი ესაა უტყუარი თავდები მოსუფდულთა აგიტაციის საბოლოოთ ვატენის...

### სოციალისტური მოძრაობა.

ზავი მაროკოში და სოციალისტები. მუშა სოც. ინტერნაციონალის ცხოვრებაში ერთი ახალი ჩვეულება შემოვიდა. როგორც კი რაიმე კონფლიქტი ან რთული საკითხი იჩენს თავს რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ამ ქვეყნის სოციალისტები იკრიბებიან და საერთო სამოქმედო გეგმას იმუშავენ. ბურჟუაზიულ ქვეყნის ეკონომისტურ პოლიტიკას თავის სოლიდარობის და მშვიდობიანობის პოლიტიკას უპირდაპირებენ კონკრეტიული სახით და შემდეგ მის განხორციელებას მოითხოვენ. ასე იყო საფრანგეთ-გერმანიის შორის სარეპარაციო გადასახადების, რურის და სხვ. საკითხების გამო.

ასევე მოხდა ახალ მაროკოს გამო. სამი ქვეყნის სოციალისტური პარტია, ინგლისის, ისპანიის და საფრანგეთის, შეიკრიბნენ საერთო დადგენილებების მისაღებათ ამაწლის 28 იელისს პარიზში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმათ მიიღეს დადგენილება. რომელიც მოითხოვს: გამოქვეყნებულ იქნეს დაუყოვნებლივ ისპანია-საფრანგეთის მიერ შემუშავებული ზავის პირობები, რომელიც უნდა ეცნობოს პირდაპირ აბდელ-ქერიმს: ამ უკანასკნელისაგანაც მოითხოვენ ნათელ პასუხს, რომ მოლაპარაკების დაწყება შესაძლებელი გახდეს.

თავის მხრივ სოციალისტური პარტიები ზავის აუცილებელ პირობათ თვლიან: ა) რთების დამოუკიდებლობის აღიარებას; ბ) ისეთ საზღვრების დაწესებას რიფებისთვის, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ ეკონომიურათ მოწყობას და აღორძინებას. შემდეგ, სოც. პარტიები მოითხოვენ სამხედრო მოქმედების შეწყვეტას მოლაპარაკების დაწყებისთანავე. თუ მოლაპარაკების დროს რაიმე განსაკუთრებული მუხლის თაობაზე შეთანხმება ვერ მოხდა, საკითხი ნაციათა ლიგას უნდა გადაეცეს გადასაწყვეტათ. ყოველ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულების რეგისტრაცია უნდა მოხდეს ნაციათა ლიგაში, რომლის წევრათ შესვლა შეუძლია რიფებსაც, თუ მოისურვებენ.

სოციალისტური პარტიები აცხადებენ, რომ ისეთ საკითხებში, როგორც მაროკოს საკითხია, ერთა ლიგა უნდა ვრეოდეს ზავის ჩამოსაგდებათ და მანამდეც ყველა იმ საერთაშორისო წესების დასაცავათ, რომელიც ენება—სანიტარებს, ტყვეებს, დაპრილებს, ომში მხრალავ ვაზების ხმარებას ოა სხვ.

ამასთან დაკავშირებით სოც. პარტიები ერთსელ კიდევ მოითხოვენ, სრულტყემის ინტერნაციონალიზაციას, რასაც შეუძლია ხალხთა საზოგადო ინტერესების შეთანხმება, და ერთა პრესტიჟის და ეკონომიური ეგოიზმის შეჯახების თავიდან აშორება.

ხოლო მსოფლიო კოლექტიურ მეურნეობის ინტერესებისათვის საქიროთ ცნობენ, რომ ნაკითა ლიგამ თავის ხელში აიღოს და გადასჭრას საკითხები, რაც არც წარმოების მოწესრიგების, ისე უსაქიროეს ნედლი მასალის განაწილების, რათა ამით საზღვარი დაედოს კაპიტალისტების მადას, და თავიდან აცილებულ იქნეს მისი განანადგურებელი, მომაკვდინებელი შედეგები.

უამისოთ, აცხადებენ ისინი, მსოფლიო მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი და მკვიდრი ვერ იქნება...

საქართველოს ასილე, მარქსისტთა ორგ. ცენტ. კომიტეტი.

თავზარი დაგვცა ძვირფასი ამხანაგის და საუკეთესო მეგობრის დათიკო ლომთაძის უდროვით გარდაცვალებამ. მისი სახით საქართველოს მოზარდ სოციალ. დემოკრატიამ დაკარგა ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი. ჯალათებმა ჩვეის ჯურღმულში მოუწამლეს სიცოცხლე ახალგაზრდა და შეუპოვარ მებრძოლს, და წამებით ჩაიყვანეს უდროვო სამარეში. მაგრამ იცოდეს მოძალადეებმა რომ საქართველოს სოციალ.-დემოკრატიის ახალგაზრდა გვარდია არასოდეს არ უღალატებს იმ წმინდა მიზანს, რომელსაც დათიკომ შესწირა თავი.

ვეურთდებით თქვენს და მთელი საქართველოს მებრძოლი ახალგაზრდობის უსაზღვრო მწუხარებას და მწარე ცრემლებით დავსტირით საყვარელი დათიკოს გაცილებულ ცხედარს.

მ. ბენიშვილი, ა. ციორცხალიაძვილი.

### პარტიული ცხოვრება.

პარტიის ორგანიზაციაში. 19 ივლისის სხდომაზე საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის პარტიის ორგანიზაციამ იქონია მსჯელობა იმ ნ პოლიტიკურ ემიგრანტის შესახებ, რომლებიც გავიდნენ პარტიიდან და მტერს მიეკედლენ; ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

«განიხილა რა ნ პოლიტიკური ემიგრანტის—ნესტორ სულუხიას, თედო დემეტრაშვილის, სილოვან კალანდაძის, გიორგი სულაქველიძის, მაქსიმე ვეკუას და გიორგი კრიკაშვილის განცხადება, კრება აღიარებს, რომ: 1) აღნიშნული პირები საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ფულის მიღებით გახდნენ საბჭოთა რუსეთის ხელში იარაღთა წინააღმდეგ საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს უცხო ულლისაგან განთავისუფლების; 2) კრება აღმუთლებს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბოლშევიკების ეს მოსყიდული აგენტები განაგრძობდნენ პარტიის სოციალ-დემოკრატიულ კრებებზე დასწრებას და ცნობების მოთხოვნას. რაც მოწმობს მათ ზნეობრივ დაცემას და პოლიტიკურ გახრწნას; 3) ორგანიზაცია უკრძალავს თავის წევრებს ყოველგვარი კავშირის დაქვრას თავის ყოფილ ამხანაგებთან; 4) აგრეთვე ორგანიზაცია ადგენს, რომ ის მიიღებს უსასტიკეს ზომებს იმ ამხანაგთა წინააღმდეგ, რომელთაც ეწინებათ პირდაპირი თუ არა პირდაპირი კავშირი საოკუპაციო ძალაუფლებასა და მის აგენტებთან».

### რედაქციისაგან.

ღია წერილი დ. ლოდობრიძის. რომელშიაც ის აცხადებს, რომ ის ყალბათ ჩაურთიხავს ბან ვეშაპელს თვის რიგებში, ამ ნომერში ვერ იბეჭდება უადგილობის გამო. ამავე მიზეზით ვადაიფო პრალის სტუდენტთა რეზოლიუცია, ა. ხელაძის «გაწითლების» გამო, და «ბრძოლა»-ს დახმარების ანგარიშები.

Le Gérant: G.-A. Bernard.

Rédaction et Administration:  
D. Charachidzé, 2, Rue Perceval, Paris, 14.

Imprimerie A. Lejeune, 95, Grande Rue, Arpajon (S. et. O.)